3574

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის
1993 წლის 22 აპრილის სხდომის
სტენოგრაფიული ანგარიში

5 ტომ

51 ფურცელი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს პარლამენტის 1993 წლის
22 აპრილის სხდომის

სტენოგრაფიული ანგარიში

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სხდომას თავმჯდომარეობს პარლამენტის
სპიკერი ვახტანგ გოგუაძე

თავმჯდომარე. დიღა მშვიდობისა! მოვემზადოთ რეგისტრაციისათვის
გთხოვთ, ჩავრთოთ. მიმდინარეობს რეგისტრაცია (R -I24). მინდა, ერთი
სამწუხარო ინფორმაცია გაგაცნოთ. ჩვენს დეპუტატს, ბატონ გივი აბაღაკს
შვილი გარდაეცვალა. ნება მომეცით, თქვენი სახელით სამძიმარი გამოვუ-
ცხადო. გთხოვთ, დაბრძანდეთ.

როგორც მოგეხსენებათ, დღეს არის დედამიწის საერთაშორისო დღე.
ამ დღეს დიდი ენთუზიაზმით აღნიშნავს მსოფლიო .ნება მიბოძეთ,ჩვენი
პარლამენტის სახელით მივულოცოთ მსოფლიოს, ჩვენს ხალხს, ერთმანეთს
ეს დღე და ვუსურვოთ დედამიწას ჯანმრთელობა და მის მკვიდრთა კეთილ-
დღეობა. დღეს ჩვენს დეპუტატს 60 წელი შეუსრულდა. ეს გახლავთ ბატონი
ვიქტორ ლორთქიფანიძე. (ტაში).

ბატონებო, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი დღის წესრიგის შედგენის
პროცესს ჯერ კიდევ ბევრი ხარვეზი აქვს, პარლამენტმა მაინც მიაღწია
გარკვეულ შეთანხმებას, რომ გარკვეულ ნდობას ვუცხადებთ იმ მუშაობას,
რასაც კოლეგია ეწევა დღის წესრიგის შედგენის თაობაზე, უამრავი მწვა-
ვე გადაუდებელი საკითხი არის, რომელიც დღეს მოითხოვს განხილვას,მა-
გრამ ყველაფერს დღეს მაინც ვერ განვიხილავთ, ამიტომ გუშინ კოლეგიის
ერთსაათიან სხდომაზე ვეცადეთ შეგვემჭიდროებინა დღის წესრიგი და
რეალური გაგვეხადა, მოგვესწრო დღეისათვის. ამიტომ ზოგიერთი საკითხი
გადავიტანეთ სამშაბათისთვის და ჩემი თხოვნაა, რომ ტელემაყურებელი,
არაერთი საჯარო წერილი იმას..., რომ დღის წესრიგთან დაკავშირებით
რატომ ხარჯავთო ამდენ დროს. ამიტომ გთხოვთ, ვენდოთ ერთმანეთს, დღე-
ვანდელ დღის წესრიგს. არის საკითხები, რომლებიც შემდეგ განხილვას
მოითხოვს. არის კიდევ რეგლამენტური განცხადება, რომ კოლეგიაზე მწვა-
ნეთა ფრაქციამ დააყენა საკითხი, დღეს 5 საათზე ოპერის თეატრში არის
დედამიწის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი დიდი ცერემონია. იქ მი-
წვეულნი ვართ და არის კოლეგიის თხოვნა, იქნებ, ჩვენ დასვენების ერთი
საათი შევამჭიდროთ და 5 საათისთვის მოვრჩეთ მუშაობას და შემდეგ
გავაგრძელოთ ოპერაში ამ ღონისძიებაში მონაწილეობა. ეს არის კოლეგიის
თხოვნა. დღის წესრიგი ყველას დარიგებული გაქვთ. მეოთხე მიკროფონი.

გ.ხავთასი. ბატონო ვახტანგ, მე რამდენჯერმე დავაყენე დღის წეს-
რიგში საკითხი პურის საბარათო სისტემით და უფასო გაცემასთან დაკავ-
შირებით. დღეს გადმომცეს საქართველოს რესპუბლიკის ეკონომიკის სამინი-
სტროს პასუხი. მე ეკონომიკის სამინისტროსათვის არ მიმიმართია. მე
დეპუტატების განსახილველად გამოვიტანე ეს საკითხი, მაგრამ თქვენ,

W-126

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ, ამ ეკონომიკის სამინისტროს დასკვნას ელოდებით, იმიტომ, არ აყენებდით დღის წესრიგში ამ საკითხს. მე დღეს აღარ დავაყენებ, მაგრამ აქ წერია და მე მაქვს ინფორმაცია, რომ მოსალოდნელია პურის კიდევ ერთხელ გაძვირება. ჩვენ კიდევ სულ სხვა აზრი გვაქვს ამ საკითხზე. ამიტომ, განვიხილოთ ეს საკითხი, თორემ 180 და 200 მანეთი რომ გახდება პურის ფასი, მერე უკვე დაგვიანებული იქნება. მეორეც, დღევანდელ პარლამენტში უნდა გვეთქვა, რომ დღეს ზოგიერთის დიდი ბელადის...

<u>თავმჯდომარე.</u> რისი?

<u>გ.ხავთასი.</u> ზოგიერთი პიროვნების დიდი ბელადის დაბადების დღე არის და ალბათ, იმათთვისაც უნდა გცესიამოვნებინა და აღგვენიშნა. და მესამეც, მე მაინტერესებს, ვინ და რა უფლებით ჩაშალა გუშინდელი სხდომა, მაშინ, როდესაც ბატონი ედუარდი მოითხოვდა შაბათსაც კი გამართულიყო სხდომა. იყო დეპუტატების თხოვნა, მაგრამ გადავწყვიტეთ, რომ სამშაბათს ჩატარებულიყო სხდომა. სესიას სხვა გადაწყვეტილება არ მიუღია. ვისი ბრალია ეს უკანონობა? მე მეგბადება ეჭვი, რომ შეიძლება იმ პიროვნებამ, ვინც მოინდომა, გუშინ სხდომა არ ყოფილიყო, მოინდომოს და, საერთოდ, ერთი თვე არ გაიმართოს, ვთქვათ, ან 2 თვე და ა.შ. ვისი ბრალია გუშინდელი სხდომის ჩაშლა?

<u>თავმჯდომარე,</u> გუშინწინდელი.

<u>გ.ხავთასი.</u> გუშინწინდელი... გუშინაც უნდა ყოფილიყო, მაგრამ აღარაფერს ვამბობ, რომ ოთხშაბათის სხდომები უკვე მივიწყებულია და იშლება, მაგრამ ეს უკანონობა დამკვიდრდა და რატომ ხდება, არ მესმის. ხუთშაბათს თქვენ, ბატონო ვახტანგ, გითქვამთ, რომ მე დამიყენებია საკითხი და, თურმე, არ დავრჩი. მე თქვენ მაშინვე გითხარით, რომ მე ზღაპრების მოსასმენად არ დავრჩებოდი. მე საკითხი დავაყენე კონკრეტულად რუსის ჯარის გაყვანის თაობაზე. თქვენ ეს საკითხი დღის წესრიგში არ შეიტანეთ და მე ძილის წინ ზღაპრის მოსასმენად... მე პრინციპულად არ დავრჩი. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე.</u> პურის საკითხი, მე გთხოვთ. კიდევ ერთხელ, ბატონი დავით კუპრეიშვილი... მადროვეთ. მე არ მჭირდება დახმარება, გრძანდებოდა და... კომისიის. ჩვენს კოლეგიაზე ნებისმიერ დეპუტატს, რომელსაც სურს დღის წესრიგში საკითხი შეიტანოს, კარი ღია აქვს და მოდიან დეპუტატები, რომლებიც არ არიან კოლეგიის წევრები, და შეაქვთ საკითხი დღის წესრიგში, ეს არის მიღებული წესი. მე ვთხოვ ბატონ ხავთასს, კოლეგა როცა იქნება, მობრძანდით, მოვიფიქროთ. პარლამენტზე მოუმზადებელი არც შეკითხვა და არც პასუხი არ უნდა იყოს გამოტანილი. ამიტომ მოვამზადოთ საკითხი და კომპეტენტური პასუხიც მოვისმინოთ. ახლა მეორე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ბრალია, სამშაბათის სხდომა რომ ჩაიშალა. სამშაბათს სხდომა არ ჩაშლილა. თუ ბრალია..., ჩემი ბრალია. დეპუტატთა პარტიები და ადგილობრივი ჯგუფებიც აღდგომის დღესასწაულის... ~~ბ~~ადაქანცულმა დეპუ-~~ტატებს~~ ~~ბ~~ ~~ბ~~ ~~ბ~~ არაერთმა ჯგუფმა მომმართა. ახლა არ მოხერხდა, საგანგებოდ ამაზე სხდომა მოგვეწვია და იყო საშიშროება, კვორუმი არ შემდგარიყო. ამიტომ, თუ ეს დანაშაულია, მე ბოდიშს მოგიხდით. რაც შეეხება იმას, რომ ზღაპრების მოსასმენად არ გცალიათ, მაშინ თქვენ უნდა მოიხადოთ ბოდიში. ბოდიშის მოხდა ღირსებაა კაცის. არ არის ეს... მე გთხოვთ, დავამტკიცოთ დღის წესრიგი. გთხოვთ, კენჭი ვუყაროთ დღის წესრიგს. წინააღმდეგი.. თავი ვინ შეიკავა, არავინ.

მწვანეთა საყურადღებოდ, დროს ნუ დამაკარგვინებთ. ტელევიზიის საკითხი მოგვარებულია როგორც აქ, ისე იქ. პირველ საკითხზე ვთხოვ ნოდარ ნათაძეს, გაგვიკეთოს ინფორმაცია-მოხსენება.

ნ.ნათაძე. ბატონებო, თქვენ გახსოვთ, რომ ჩვენ გვაქვს რამდენიმე კანონი, რომელიც არეგულირებს ჩვენში შეიარაღებულ ძალთა ორგანიზაციას, ამასთან დაკავშირებულ უფლებამოსილებებს და ა.შ. მოგეხსენებათ, არსებობს ელემენტარული ნორმები, კაცობრიობის მიერ შემუშავებული მრავალი ათასი წლის მანძილზე, რომელთა დაცვა აუცილებელია ჯანსაღი და გრძელისუნარიანი ძალის ყოლისათვის. ეს ელემენტარული ნორმები ჩვენთან საქართველოში არცთუ ისე იშვიათად ირღვევა, რაც გამოუსწორებელ ზარალს აყენებს ჩვენს გრძელისუნარიარობას და ჩვენს სახელმწიფოებრიობასაც. მე ამას იმით ვხსნი, რომ კანონი ან არ არის მისული ყველას ცნობიერებამდე, ან კიდევ სხვადასხვანაირად არის გაგებული სხვადასხვა პიროვნების მიერ, რის გამოც აუცილებელი გახდავთ პარლამენტის სპეციალური დადგენილება ამ კანონის მუშაობის წესის, შინაარსის გაგების შესახებ. პიროვნებებთან ამას არავითარი კავშირი არა აქვს. აქ არის ლაპარაკი მხოლოდ არსებული კანონმდებლობის გაგების წესზე. ცოტა ხანში დაგირიგდებათ ტექსტი ამ დადგენილების და მე გთხოვთ, ყურადღებით წაიკითხოთ და კენჭისყრაზე ხვალ დღის მეორე ნახევარში სათანადოდ მომზადებული შევხვდეთ კენჭისყრას. შენიშვნები რაც გექნებათ, დიდი მადლობელი ვიქნებით. თავდაცვის კომისია, რომელსაც ეს პროექტი გამოაქვს, მადლობელი ვიქნებით, თუ მობრძანდებით ჩვენს ოთახში, I23-ე ოთახში და შენიშვნებს გაგვაცნობთ. დადგენილება წაკითხული იქნება ამ ტრიბუნიდან, ამის გარეშე დაუშვებელია, მაგრამ, რაც შეეხება კონკრეტული მსჯელობის და არგუმენტების აწონ-დაწონის პროცესს, სჯობია, თუ ეს მოხდება სამუშაო წესით ამ დარბაზის დაუტვირთავად. შეგახსენებთ, ჩვენზე არის უდიდესი პასუხისმგებლობა. თუ იმ საქმეში, რომელსაც ეხება

ეროვნული ბიბლიოთეკა

საუბარი, ჩვენმა ქვეყანამ განიცადა მარცხი, მაპატიეთ, ისედაც ყველამ იცით, მაშინ უმაღლესი სასჯელის ღირსნი ვიქნებით ყველანი, მთელი შემადგენლობა პარლამენტის, მთელი შემადგენლობა საქართველოს დღევანდელი ადმინისტრაციის. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონ ირაკლის მოვუსმინოთ.

ი.შენგელაია. ჩვენი მარათონი გრძელდება ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ კანონპროექტთან დაკავშირებით. მართალია, პრაქტიკაში მიღებული უნდა იყოს, საკონსულტაციო შეხვედრებზე რომ რაღაც ერთიან გადაწყვეტამდე მივიდეთ, მაგრამ ამ კანონის პირველად გამოტანის დღიდან, როდესაც არ იქნა პირველი ზოსმენით მიღებული, ოთხი საკონსულტაციო შეხვედრა მაინც მოეწყო, ოფიციალურად გამოცხადებული, და ვერავითარი შეთანხმება ვერ იქნა მიღებული. ფაქტიურად, დავას იწვევს ერთი პრინციპული საკითხი და ამის გადასაწყვეტად, აღბათ, კენჭისყრაზე დავაყენებთ ამ საკითხს, იმიტომ, რომ ასე გაუთავებლად კონსულტაციების მოწყობა და მერე შეთანხმების არმიღება შეუძლებელია. პრობლემური გახდა საკითხი, გამგებელი როგორ ავირჩიოთ რაიონებში. გამგებელი იქნება თუ რა სახელწოდებას მივცემთ.. მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი პირი... პირდაპირი კენჭისყრით თუ ორსაფეხურიანი კენჭისყრით. მე ბოდიშს ვიხდი, მაგრამ, სამწუხაროდ, მომიხდება ისევ ზოგადად მაინც მიმოვიხილო, რა მოხდა წინა ორ სხდომაზე, როცა ამ კანონზე იყო საუბარი. იმიტომ, რომ ცოტა შეხსენებასავით გამოგვივა, თუ როგორ წარიმართა ეს სხდომები, და შემდეგ მივიღოთ სათანადო გადაწყვეტილება. ასე ცალსახად, პირველი ვარიანტი, რომ გამგებელი არჩაულიყო ორსაფეხუროვანი სისტემით, ანუ წარმომადგენლობით ორგანოს აერჩია მმართველობითი ორგანოს პირველი პირი, ფაქტიურად, ეს გამოჯნული არ იქნებოდა, ეს ვარიანტი არ გავიდა. ასევე არ გავიდა ვარიანტი, რომ რაიონის მმართველობითი ორგანოს პირველი პირი არჩეულიყო უშუალოდ მაჟორიტარული წესით საერთო-სახალხო არჩევნებით. ე.ი., ერთსაფახუროვანი სისტემით. ფაქტიურად, არ გავიდა არც ერთი და არც მეორე. ახლა დაისვა კითხვა, საერთოდ არ ავირჩიოთო? ამასთან დაკავშირებით, დღეს წარმოდგენილია ორი ვარიანტი და ოთხი ქვევარიანტი. თუ ესეც არ მიიღო პარლამენტმა, მაშინ გავაგრძელოთ ეკვილიბრისტიკა და იმდენი ვარიანტის მოფიქრება შეიძლება, ბარე ერთი პარლამენტის რეგისტრატურა არ ეყოს მას. გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული. ბოდიში მინდა მოგიხადოთ, ტექნიკური ხასიათის შეცდომა გაიპარა. პირველი და მეორე ვარიანტი, როგორც არის წარმოდგენილი, ისევ დარჩა, არ შესწორდა "მოურავი" და ფრჩხილებში "გამგებელი" შეიძლება "მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი პირი. ასე განვიხილოთ მხოლოდ. რედაქციული შესწორებები არ შესულა და ამიტომ მინდა განვმარტო, რას ნიშნავს პირველი და მეორე ვარიანტები და რა განსხვავებაა მათ შორის. განსხვავება არის ერთად-

ერთი. წინა სხდომაზე ასე დაისვა საკითხი: 24-ე და 42-ე მუხლებს ერთად ეყაროს კენჭი, მაშინ მე დავსვი ასეთი კითხვა, რომ ამ მუხლების ჩავარდნით, ამ მუხლების გაუსვლელობით ხომ არ ვაყენებთ ეჭვის ქვეშ სოფლებში, დაბებში და ქალაქებში ხელმძღვანელი პირის არჩევას პირდაპირ, თუ ერთად ჩავარდა ორივე მუხლი. გუშინ საკონსულტაციო შეხვედრაზე ითქვა, ხომ არ გავაკეთოთ ასე: ერთი ვარიანტი წარმოვადგინოთ რაიონთან ერთად, მეორე ვარიანტი რაიონის გარეშე და რაიონზე ცალკე გადავწყიტოთ, უნდა აირჩეს თუ საერთოდ დავშალოთ რაიონი როგორც ასეთი. ამიტომ არის ეს ორი ვარიანტი წარმოდგენილი. პირველ ვარიანტში განიხილება ხელმძღვანელი პირის არჩევა სოფელში, დაბასა და რაიონში. მეორე ვარიანტში სოფელში, დაბასა და ქალაქში. ეს იმიტომ, რომ პირველი ვარიანტი, არ ჩავარდეს საერთოდ არჩევნები პირველი პირისა ყველა დონეზე. თუ ეს მისაღებია, მაშინ... შეიძლება აქ შესწორდეს, 3 წლის ვადით იყოს, 2 წლის ვადით. თუ საჭიროა კიდევ დებატების გაგრძელება, კი ბატონო, მაგრამ იმდენი ითქვა უკვე ამის შესახებ, იმდენი მხარდამჭერი ჰყავს პირველ ვარიანტს, რომ პირდაპირ აირჩეს, და ორსაფხეროვან ვარიანტს, რომ ასე აირჩეს, და იმდენად მოურიგებელია ეს პოზიცია, რომ ახალი არგუმენტები აღარ არსებობს. გუშინდელმა საკონსულტაციო შეხვედრამაც ეს დაადასტურა, ე.ი., დავაყენოთ პირველი, მეორე და შემდეგ ალტერნატიულ ვარიანტებში წარმოდგენილი....

<u>თავმჯდომარე</u>. ამ სახით გვთავაზობთ...

ი.შენგელაია. აქ იყო ფრაქცია "ნეიტრალების" თხოვნა და სავსებით საფუძვლიანი, რომ ჯერ კენჭისყრაზე დადგეს 24-ე და 42-ე მუხლები ისეთი რედაქციით, როგორიც იყო პირველ ვარიანტში წარმოდგენილი, ანუ, არჩევნები სოფლად, ქალაქად, დაბასა და რაიონში პირველი პირისა ჩატარდეს პირდაპირი კენჭისყრით, სათანადო განმარტებით, 24-ე მუხლით, გადარჩევის ყველა მექანიზმით, ეს იყო მოთხოვნა, რომ პირველად კენჭი ეყაროს ამას. თუ ეს ვერ გავა, შემდეგ გადავდივართ მეორე ვარიანტზე. მეორე ვარიანტის მიღების შემთხვევაში ვარკვევთ, რაიონის გამგებელს რა ვუყოთ, როგორ ავირჩიოთ... დავნიშნოთ თუ ა.შ.

<u>თავმჯდომარე</u>. მოსალოდნელია, ვერც ერთი ვარიანტი ვერ გავიდეს, მაშინ რა ვარიანტი...

ი.შენგელაია. მე წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ვერც ერთი ვერ გავიდეს, და რატომ, სხვადასხვა თემას ეხება სამივე ვარიანტი.

<u>თავმჯდომარე</u>. მომხრე ხართ, გადავიდეთ კენჭისყრაზე? (ხმაური დარბაზში). ბატონებო, კიდევ თუ დებატები დაიწყო ამ საკითხზე, ჩვენ კატასტროფის წინაშე აღმოვჩნდებით. მე გთხოვთ, მხოლოდ ორწუთიანი განცხადება პროცედურასთან დაკავშირებით. მეხუთე, მეექვსე, მეოთხე მიკროფონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

<u>გ.გეწაძე.</u> ბატონო სპიკერო, მე გავლდით ბაღდათის რაიონში. შევხვდი ჩემს ამომრჩევლებს და ყველა იმ პარტიას,რომელიც ფუნქციონირებს ჩემს რაიონში, და მათი ერთსულოვანი მოთხოვნაა, რომ ჩატარდეს პირდაპირი არჩევნები და კენჭი ვუყაროთ 24-ე და 42-ე მუხლებს. თუ შეიძლება,ჩატარდეს სახელობითი კენჭისყრა.

<u>თავმჯდომარე.</u> მეექვსე მიკროფონი.

<u>გ.მუჩაიძე.</u> ადრეც ვთქვი და დღესაც ვიმეორებ, რომ არჩევნების ჩატარება საგანგებო ვითარების დროს...ასეთი სცენარი გათამაშდება, რომ ათასგვარი შეიარაღებული ფორმირებები მიადგებიან არასასურველ კანდიდატებს და მუქარის შიშით მოახსნევინებენ თავის კანდიდატურას. ამიტომ ვაყენებთ საკითხს, რომ უნდა დაინიშნონ გამგებლებად, და ჩვენ უკვე ამ არჩევნებმა გვიჩვენა, რომ ჩვენი მაჟორიტარული სისტემით არჩეულმა დეპუტატებმა ხალხის მანდატი მოიპოვეს უკვე, და ამიტომ ჩვენ შეგვიძლია, რომ ეს ხალხი მივავლინოთ და დაინიშნონ ადგილებზე ხელმძღვანელებად. რეგლამენტში იქნეს შეტანილი შესწორება, შესაბამისი ცვლილება, რომ მათ რჩებათ დეპუტატობის ფუნქციებიც.

<u>თავმჯდომარე,</u> მეოთხე მიკროფონი.

<u>გ.ხავთასი.</u> რას ფიქრობთ სასაზღვრო ზოლში... საქართველოს აკრავს რამდენიმე ქვეყანა სხვადასხვა მხრიდან და ჩვენი საზოგადოების აზრით, სასაზღვრო ზოლში უნდა მოქმედებდეს ცალკე განსხვავებული კანონები იმ კანონებიდან და ნორმებიდან განსხვავებით, რომლებიც საქართველოში იმოქმედებს, რას ფიქრობთ იმასთან დაკავშირებით, რომ სასაზღვრო ზოლში იყოს დანიშვნითი.... რადგან იქ არის დღეს გართულებული მდგომარეობა, და დანარჩენ საქართველოში იყოს არჩევითი.

მეორე, ბატონო ვახტანგ, მე [illegible] შეკითხვა დაგისვათ თქვენ. წინა სხდომაზე გითხარით, რომ მავნებლური სიტუაციაა შექმნილი პარლამენტში,რომ ძალიან დიდი დრო იკარგება ისეთ კანონებზე, ისეთი მუხლების მიღებაზე, რომელთაც არავითარი აზრი არა აქვთ. ჩვენ მივიღეთ პირველი წაკითხვით და პირველი წაკითხვით მიღებულ კანონს კანონი ჰქვია: კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ამ ძირითადი მუხლების გარეშე... ახლა, ორი თვის განმავლობაში ვერც ერთი მუხლი რომ ვერ მივიღოთ ვერც 24-ე, ვერც 42-ე. ასე მოვიქეცით მუდმივ კომისიებთან დაკავშირებით, მე-14-ე მუხლი დღესაც მიუღებელია. ვიღაცას აწყობდა იმ კანონს ემოქმედა მე-14-ე მუხლის გარეშე და ის მოქმედებს, მაგრამ რა აზრი აქვს იმ კანონს, რომელზეც თავი ვიტეხეთ, კენჭისყრა ვატარეთ, და, თუ ეს მუხლები არ [illegible], რა აზრი აქვს იმ კანონს. საერთოდ, ეს ტენდენცია უნდა მოისპოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. მესამე მიკროფონი.

ფ.საყვარელიძე. ჩემი თხოვნაა, ნუ დავიწყებთ დებატებს. რაიონებში ყველანი ვიყავით და საწინააღმდეგო აზრები გვაქვს მოსმენილი ამომრჩევლებისაგან. ამიტომ პირდაპირ კენჭისყრაზე გადავიდეთ, სჯობია.

თავმჯდომარე. მეხუთე მიკროფონი. ბატონებო, შეგახსენებთ, რომ ერთმანეთს შორის დიალოგს დავანებოთ თავი.

თ.ცინცაძე. ბატონებო, ყურადღების გარეშე ვერ დავტოვებ ბატონი მუჩაიძის მიერ გაკეთებულ განცხადებას, მე, როგორც მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატი, რადგან მაჟორიტარული წესით არჩეული დეპუტატების არც სურვილია და ვერც საზოგადოება ამას სწორად ვერ გაიგებს, რადგან დეპუტატებს ~~[illegible]~~ ჰქონდათ, როცა დეპუტატობის კანდიდატად დავასახელეთ ჩვენი თავი და კენჭი ვუყარეთ, რომ გვემუშავა პარლამენტში და არა ადგილზე წავსულიყავით გამგებლად და ეს მოგვეპოვებინა. თუ ეს აუცილებელი იქნება, ამას თვითონ ხალხი დააყენებს, მაგრამ იმის თქმა, რომ მაჟორიტარული წესით არჩაული დეპუტატები დაინიშნონ და გაიგზავნონ იქ, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი ხალხის მიერ არიან არჩეულნი, საკითხისადმი ასეთი მიდგომა არ იქნება სწორი. ჩემი კოლეგების განცხადებიდან მინდა დასკვნა გავაკეთო და, თუ ვცდები გამისწორეთ. ბატონმა ჟორჟოლიანმა გრძანა: არის ზოგიერთი რაიონის რგოლი, სადაც არის საკუთარი შეიარაღებული ფორმირებები, და საშიშროება გამოთქვა. სწორია. ბატონმა ბორისმა გრძანა, რომ აქვს ცალკეული ჩამოყალიბებული კლანები, რომლებიც გააკეთებენ ყველაფერს, რომ მათი ორიენტაციის ხალხი გაიყვანონ. ესეც სწორია. თუ ეს სწორია, ამას შეიძლება დაუპირისპირდეს ხალხის ძალა და ხალხის ნება. ჩვენ თამაშს უნდა დავანებოთ თავი. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, რომ ყველაფერს აკეთებენ იმისთვის, რომ ეს კანონი შევიდეს "ტუპიკში" და არ იქნეს მიღებული. რატომ კეთდება, რეგლამენტი არ მაძლევს საშუალებას, თორემ ამასაც განვმარტავდი. მოვუწოდებ ჩემს კოლეგებს, კენჭი უყარონ... როცა პირველი ვარიანტისთვის კენჭი არ უყრიათ, დღის წესრიგში დგება მეორე ალტერნატიული საკითხი. რატომ, რისთვის? ჯერ ვუყაროთ პირველ ვარიანტს და მერე დავაყენოთ მეორე ვარიანტი.

თავმჯდომარე. მესამე მიკროფონი.

ჯ.ბერიძე. ბატონებო, მე ვეთანხმები ჩემს წინა გამომსვლელ კოლეგებს ბაღდათიდან და ხეღვაჩაურის რაიონიდან, მეც გახლდით ხულოსა და შუახევის რაიონებში. შევხვდი მრავალრიცხოვან ამომრჩევლებს და ასეთი პირდაპირი აზრი არის, რომ უნდა ჩატარდეს ყველა რგოლში პირდაპირი ფარული არჩევნები. ამასთანავე, არის თხოვნა, ასეთი, რომ აუცილებლად ჩატარდეს არჩევნები ამ ~~ზაფხულს~~, შემოდგომამდე მაინც. გმადლობთ.

თავმჯდომარე. იქნება... აშკარაა ასეთი რამ. აქ არის მხოლოდ ერთადერთ ~~ჩამეზე~~ დავა, პირდაპირი იყოს არჩევნები თუ არაპირდაპირი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იქნებ, ამ ფორმულირებით დავაყენოთ კენჭისყრაზე. ვწყვეტ კამათს პარლამენტის მოთხოვნით. ბატონ ირაკლის მივცეთ განმარტებისთვის და როგორც არის წარმოდგენილი ალტერნატიული ვარიანტები, ვუყურთ კენჭი. ბატონო ირაკლი, ჩვენ... ამ საკითხზე პარლამენტი რას ფიქრობს, გავაგრძელოთ დებატები თუ შევწყვიტოთ. ვინ არის მომხრე შევწყვიტოთ დებატები? აბსოლუტური უმრავლესობა. ვინ არის მომხრე პირდაპირ გადავიდეთ კენჭისყრაზე? გთხოვთ დაუშვათ. შესვენებას?

ი.შენგელაია. მე მინდა უბრალოდ... ბატონო გია, მინდა გიპასუხოთ. რამდენად მისაღებია დანიშვნის მექანიზმის ამუშავება, გნებავთ, საგანგებო ვითარებასთან დაკავშირებით და გნებავთ, ნებისმიერ პრობლემასთან, რაც გვაქვს მესამე ვარიანტში, სწორედ დანიშვნის მექანიზმია წარმოდგენილი. ასე რომ, ვინც დანიშვნის მექანიზმს მისცემს ხმას, შეუძლია პირველ და მეორე ვარიანტს არ მისცეს ხმა. არსებობს ადმინისტრაციის შესახებ კანონი, რომელიც მალე გამოვა პარლამენტში განსახილველად, იგი ადმინისტრირების მექანიზმის შემოღების თაობაზე იქნება საქართველოში.

თავმჯდომარე. ბატონებო, შესვენების იდეა გულისხმობს.. მანამდე ბატონ ედუარდს ვთხოვთ, თავისი აზრი გვითხრას ამ საკითხზე.

ე.შევარდნაძე. მე არ მგონია, რომ სერიოზული არგუმენტები არსებობდეს, გარდა ერთი საერთო მოსაზრებისა, რომელიც ყველა ჩვენთაგანს აწუხებს, პირდაპირი არჩევნების წინააღმდეგ... ჩვენ თუ არ გვინდა გადავუხვიოთ იმ კურსს, რომელიც ავიღეთ, და რომლის ერთგულიც ვრჩებით, რომ დემოკრატიული სახელმწიფო ავაშენოთ, მაშინ ძნელია ხალხს უარი უთხრა იმაზე, რომ მან თავისი ნება გამოხატოს პირდაპირი არჩევნების გზით და საშუალებით. როგორი არგუმენტებიც არ უნდა წამოვაყენოთ, ამას მოსახლეობა ვერ გაგვიგებს. ვინ უფრო ბევრ რაიონშია იყო, ამას შეიძლება, ახლა მნიშვნელობა არ ჰქონდეს, და მე ვიცი, მქონდა საშუალება.... რაიონების დიდ ნაწილში განწყობილება ისეთია უმრავლესობაში, რომ არჩევნები ჩატარდეს პირდაპირი კენჭისყრით. მე ვიზიარებ, გარკვეულ სიფრხილეს რომ იჩენენ პარლამენტის წევრები. რა შედეგი შეიძლება მივიღოთ, ხომ არ არის ისე, რომ ერთი კაცის ხელში თავს მოიყრის ძალიან დიდი ძალაუფლება, ისეთი ძალაუფლება, რომელიც მერე შეიძლება პრობლემა გახდეს ხელისუფლებისათვის, სახელმწიფოსათვის და ა.შ. აქ არის გარკვეული საფუძველი შეშფოთებისათვის. თუნდაც ის, რომ სასაზღვრო რაიონებში... იქ დამშვიდებული ცხოვრების დროსაც გარკვეული საგანგებო ვითარება იქმნება ან მოსალოდნელია ასეთი ვითარება იყოს. მე ვხედავ ასეთ გამოსავალს, ბატონ ირაკლისთან მქონდა საუბარი. ჩვენ, ალბათ, შემდგომ სხდომებზე უნდა შევქმნათ რაღაც სისტემა, ადმინისტრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციის სისტემა. ვერ გეტყვით, ეს იქნება სარაიონათშორისო თუ თითოეულ რაიონში, ალბათ, თითოეულ რაიონში ძნელი იქნება, სწორედ იმ თავისებურებების გათვალისწინებით, რომელიც დამახასიათებელია სასაზღვრო რაიონებისათვის. მე არ გამოვრიცხავ, რომ ამ ადმინისტრაციებს უნდა ჰქონდეთ სერიოზული უფლებები. შეიძლება, თვითონ ცენტრი აქ ისეთი მრავალრიცხოვანი, ისეთი გაბერილი არ იყოს საჭირო, მაგრამ, ვთქვათ, მესხეთ-ჯავახეთში, გნებავთ, სხვაგან ის უფლებები, რაც ცენტრს აქვს, იყოს დელეგირებული სწორედ ადმინისტრაციების მიმართ. იყოს მძლავრი, ძლიერი ადმინისტრაცია, შეიძლება იყოს 4,5,6 რაიონის და ა.შ. რომ სახელმწიფოს ინტერესები არ იყოს იგნორირებული. გარანტირებული იყოს ამ ინტერესების დაცვა. მე იმისი თქმა არ მინდა, რომ გამგებელი იქნება თუ ქალაქის მერი, სიმბოლური უფლებები უნდა ჰქონდეს, მას უნდა ჰქონდეს უფლებები, მაგრამ ამავე დროს, უნდა იყოს ადმინისტრაცია, რომელსაც ექნება სერიოზული გავლენა, ძალა და უფლებები. თუ ასეთი მიდგომა მისაღები იქნება, მაშინ ვფიქრობ, რომ ჩვენ მაინც პირდაპირ არჩევნებს უნდა დავუჭიროთ მხარი. მე ვიცი, როგორია შეფარდება, შეიძლება ეს ძნელად გასასვლელი ვარიანტია, მაგრამ მოსახლეობა ვერ გაუგებს პარლამენტს, მე ვიცი მოსახლეობის განწყობილება. მოსახლეობის განწყობილება ისეთია, რომ ჩატარდეს პირდაპირი კენჭისყრით არჩევნები. აირჩიონ ის, ვინც მათ უნდათ, სხვა შემთხვევაში იქნება გაუთავებელი შეცდომები. ის ვარიანტები, რომლებიც აშის წარმოდგენილი, ძალიან საინტერესოა, მაგრამ, ვთქვათ, სამი პიროვნება დაასახელოს ერობამ და მერე სახელმწიფოს მეთაურმა გადაწყვიტოს. ამას იმდენი ვნებათაღელვა მოჰყვება შემდეგ, ისეთი უკუჩვენება ექნება, რომ შეიძლება ველარც გამოვიდეთ, ისე დაიხლართება სიტუაცია ცალკეულ რაიონებში. ამიტომ, რაღაც ვადა მივცეთ კომისიას, თუ ისინი ჩათვლიან საჭიროდ, მე მზად ვარ ვითანამშრომლო. პრინციპულ საკითხებზე ჩვენ გვქონდა საუბარი და მეგონა, ასეთი ადმინისტრაცია შეიქმნება, ეს იქნება გარკვეული კომპენსაცია, გარანტიები სახელმწიფო ინტერესების დაცვისა, თუკი ამ ინტერესების საწინააღმდეგოდ ადგილობრივი ხელისუფლება რაღაც ნაბიჯებს არ გადადგამს. ასეთი გარანტიები სჭირდება ისეთ ქვეყანას, როგორიც საქართველოა. როგორი იქნება ავტონომიებში? ყველგან შეიძლება მოიძებნოს გადაწყვეტილება. ახლა რომ არსებობს რწმუნებულები და სხვა, ხომ არ გაამართლა ისე, როგორც საჭიროა. თუ ჩვენ შევქმნით... შეიძლება ცენტრში არ გვჭირდებოდეს ასეთი თავკომბალასავით დიდი, მრავალრიცხოვანი ცენტრი, მაგრამ ეს უფლებებიც და მოვალეობებიც იყოს დელეგირებული ამ ადმინისტრაციებთან და შესაბამისად ადმინისტრაციათა ხელმძღვანელების მეთაურების შერჩევა მოეწყოს სპეციალურად. მე მხედველობაში მაქვს, ვთქვა, ლაპარაკია მესხეთზე, გაიგზავნოს ყველაზე უკეთესი მინისტრი, ვინც არის, ვიცე-პრემიერი ან სხვა ცნობილი, აღია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებული პიროვნება, რომელსაც ძალაც აქვს, ავტორიტეტიც, ცოდნაც, კვალიფიკაციაც. ამით ჩვენ, სავსებით შესაძლებელია, დავიცვათ საერთო სახელმწიფოებრივი, საზოგადო ინტერესები და ამავე დროს, მოსახლეობასაც ანგარიში გავუწიოთ და მივცეთ მას უფლება, აირჩიონ რაიონების და ადგილებზე სხვა ხელმძღვანელები პირდაპირი კენჭისყრით. თუ ამას არ გავაკეთებთ, პარლამენტი წააგებს. ამ შემთხვევაში, აღბათ, კენჭისყრა უნდა იყოს სახელობითი და შედეგები კენჭისყრის გამოქვეყნდეს პრესაში.

<u>თავმჯდომარე</u>. სახელობითზე ვუყარეთ კენჭი და შევთანხმდით.

ბატონებო, მაქსიმუმი, ნახევარი საათის მანძილზე მოვასწროთ, ფრაქციების ხელმძღვანელები, კომისიების თავმჯდომარეები, დაინტერესებული პირნი შევხვდეთ და, თუ საჭიროა, ბატონი ედუარდის მონაწილეობით. აქ ორგანიზებულად ვერ გავაკეთებთ, აღბათ, იქნებ, ჩემთან სჯობდეს. მე მგონი, შევთანხმდებით (შესვენება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვენების შემდეგ

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს
პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე.

თავმჯდომარე. მოვემზადოთ რეგისტრაციისათვის. ~~[illegible]~~ ვთხოვ ბატონ ვასილ გოცირიძეს, ჰამლეტ ჭიპაშვილს, ეს რეგისტრაციები იქნეს შეჯერებული, და გაცდენა-დასწრების საკითხი როცა დადგება სერიოზულად, ალბათ, შეჯერებული სახით იქნება. გთხოვთ ჩავრთოთ. მიმდინარეობს რეგისტრაცია. (R-162).

ი.შენგელაია. ბატონებო როგორც შესვენებამდე გაირკვა, კენჭი უნდა ვუყაროთ პირველ რიგში იმ ვარიანტს, რომელიც ადრევე იყო წარმოდგენილი. ე.ი., 24-ე, 42-ე მუხლის ეთრობლიობას, როგორც მაშინ მოგახსენეთ, 24-ე მუხლის გამაწონასწორებელ ვარიანტად გვქონდა წარმოდგენილი 42-ე. მუხლი. კიდევ ერთხელ ბოდიშს გიხდით, რომ ამ ვარიანტში რედაქციული შესწორება არ იქნა შესული, და ჩათვალეთ, რომ "მოურავი" სადაც წერია, მიუღებელია, არ იქნა მიღებული, ამიტომ "მმართველობითი ორგანოს ხელმძღვანელ პირად" უნდა ჩაითვალოს, ასე წარმოვიდგინოთ, ე.ი., პირველი ვარიანტი ეს გახლავთ, ვიდრე წავიკითხავდეთ, მინდა მოგაგონოთ, რომ, თუ გახსოვთ, ჩვენს საკონსულტაციო შეხვედრაზე კანონს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ დამატებული ჰქქნდა თავი მეშვიდე, ადგილობრივი მმართველობის სისტემის სახელმწიფოებრივი რეგულირება. შემოტანილი იყო ორი მუხლი 44-ე და 45-ე . ვინც პირველ ვარიანტს იცნობს სამხარეო ადმინისტრაციის შესახებ, აქ იყო მხოლოდ ორი მუხლი, რომ ინიშნება ადმინისტრაციის მეთაური და განსაზღვრული იყო, რომ ადმინისტრაცია, ვინაიდან მხარე არ არსებობს ჩვენთან როგორც ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, საკანონმდებლო თვალსაზრისით დღეს... აქ იყო განმარტება, როგორც რამდენიმე რაიონის გაერთიანება. საერთო სოციალურ-ეკონომიკური ინტერესებიდან გამომდინარე და ისტორიულ-გეოგრაფიული ნიშნებიც. ეს მუხლები იყო წარმოდგენილი. საკონსულტაციო შეხვედრაზე ჩაითვალა, რომ ნაადრევი იყო ამის გაკეთება, ჩვენც მივიღეთ ეს შენიშვნა, არ შემოვიტანეთ პირველი წაკითხვის დროს, მაგრამ ახლა, როდესაც... მეორე დღეს, ამას კენჭისყრისთვის არ ვამბობ, რა თქმა უნდა, ეს წარმოდგება, როდესაც მუხლობრივად შევუდგებით ჩვენ კანონის მიღებას, ანუ იმ კვირაში. მაგრამ ის, რაც აქ წერია სამხარეო ადმინისტრაციაზე, ეს არასაკმარისია იმისათვის, რომ გაირკვეს , რას ნიშნავს სამხარეო ადმინისტრაცია. ამისათვის წარმოდგება უახლოეს ხანში პირველი ვარიანტი პროექტისა "კანონი სამხარეო ადმინისტრაციის შესახებ" ეს იქნება ცალკე კანონი, იმიტომ, რომ ეს არ არის თვითმმართველობა. ეს არის სახელმწიფო ცენტრალური მმართველობა, თავისი უფლებებით, კომ-

ენციებით, მოვალეობებით და იმ საზღვრებით, რა საზღვრებშიც შეუძ-
მას იმოქმედოს ამა თუ იმ მხარეში. რა თავისუფლება აქვს მხარეს
ადგენელ... გნებავთ, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს, გნებავთ
იტორიულ გაერთიანებას და ასეთი ტერიტორიული გაერთიანება ჯერჯერო-
საქართველოში შეიძლება იყოს 2, თემი და რაიონი მხოლოდ, განსაზღვ-
ი იქნება ამ კანონით, მე ვერასოდეს ვერ გავიზიარებ იმ აზრს, რომ
ონს მივიღებთ, მაგრამ არ იმუშავებს. ე.ი., ჩვენ არ გვჯერა იმ კა-
ებისა, რომლებსაც თავად ვღებულობთ. ამიტომ ჩვენ უნდა შევეცადოთ
საკანონმდებლო უზრუნველყოფა მოხდეს საქართველოში და გავარკვიოთ
ხელ და სამუდამოდ, რა გზით უნდა ვიაროთ, ადმინისტრაციის შესახებ
ონის შემოტანა საქართველოში არის, გარკვეული დეპუტატების აზრს
ახსენებთ, რომ ეს არის წინ გადადგმული ნაბიჯი, დღეს ნუ ვიდავებთ,
ალოდ, ინფორმაციის სახით, რომ... ეს ინფორმაცია საჭიროა იმისათ-
, აქ წარმოშშვა ასეთი... საჭიროა და მოგახსენებთ, რატომაც. აქ წა-
იშვა ასეთი აზრი, რომ რა ვქნათ, როდესაც, ვთქვათ, სოფელში, დაბაში,
აქში... თუ რაიონშიც ასევე იქნება არჩეული პირველი პირი, მისი
ამგებლის ფარგლებით და მისი არეალი, რაში შეუძლია მოღვაწეობა.
ქნება თუ არა შეზღუდული და გადავა თუ არა წლის გარეთ, და შეეწი-
ლმოეგება თუ არა საქართველოს ინტერესებს. აქედან გამომდინარე,
ზე დაპარაკი საჭიროა, ამგვარი ინსტიტუტები მსოფლიოს ბევრ ქვეყა-
ი არსებობს. არადემოკრატიული ამაში არაფერია, შევთანხმდეთ, ვიდრე
ჭისყრაზე დავაყენებთ საკითხს, ინფორმაცია მოგაწოდეთ, რომ მომავალ
რაში იქნება კანონი ადმინისტრაციის შესახებ. კანონში თვითმმარ-
ლობის შესახებ ორ მუხლად დაბრუნდება, რაც ეხებოდა ადმინისტრაციას
თმმართველობის თვალსაზრისით, და ასე იქნება ეს კანონპროექტი მო-
ალ კვირაში განხილული, როდესაც კანონი დადგება მეორე კითხვით
ების წინ, მუხლობრივი მიღებით. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე.</u> 24-ე და 42-ე მუხლებს დღეს ვიღებთ პირველი მოს-
ით, როგორც გვაქვს ძირითადი კანონი მიღებული, პირველი მოსმენით.
გან მაშინ კენჭისყრა იყო სახელობითი, როდესაც ასევე იქნება.
ებ გადავიდეთ პროცედურაზე და პირველი, მეორე ვარიანტებს, როგორც
ქვთ წარმოდგენილი, ისე ვუყაროთ კენჭი. ბატონ მიხეილს პროცედურასთან
კავშირებით.

<u>მ.ნანეიშვილი.</u> ბატონო სპიკერო, მე საჭიროდ მიმაჩნია, მაინც
ახსენოთ იმ შედეგების შესახებ, რომლებსაც... შეთანხმების შესახებ,
ელსაც მივაღწიეთ ჩვენი ფრაქციის.... შესვენებაზე რომ მოვაწყვეთ,
თათბირზე და უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენი ფრაქცია მხარს დაუჭერს
ონის პირველი პირის პირდაპირ არჩევნებს ორი პირობით, და ეს არის

ჯენტლმენური შეთანხმება, რომ რაიონის ხელმძღვანელის გადაყენების უფლება ცნობილი პოლიტიკური მიზანშეწონილობის პრინციპის საფუძველზე ექნება ამავე დროს სახელმწიფოს მეთაურს, და მეორეც, ამაზე ბატონმა ირაკლიმ ბრძანა, მაგრამ თუ გსურთ გავიმეორო, აუცილებლად უახლოეს ხანში იქნება შემუშავებული კანონი რეგიონალური ადმინისტრაციული ზედამხედველობის შესახებ. ამ ორი პირობის საფუძველზე ჩვენ მხარს დავუჭერთ ამ...

ი. შენგელაია. დამატება ბრძანა ბატონმა მიხეილმა. რაც შეეხება სახელმწიფოს მეთაურის უფლებას გადაყენებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღებას, ამ მუხლში იმიტომ არ არის შეტანილი, რომ ეს არის ადგილობრივი ხელისუფლების და მმართველობის ორგანოების ურთიერთობა, მაგრამ ცალკე პუნქტი არსებობს ცენტრალურ ორგანოებთან ურთიერთობისა, სადაც შევა სწორედ ეს.

მ.ნანეიშვილი. მაინც გაუგებრობა რომ არ იყოს... რასაკვირველია, ეს საკანონმდებლო სწორია. ჩვენ ამით სრულიადაც არ ვზღუდავთ, მის ბუნებრივ კომპეტენციაში რაც აქვს, ადგილობრივ მმართველობას, ჩვენ ამით არ ვერევით...რადგან გამოვდივართ იმ ცნობილი დებულებიდან, რომ ადგილობრივი მმართველობა არ არის ცენირალური მმართველობის ორგანო, მაგრამ ადგილობრივი მმართველობა უნდა იმყოფებოდეს საერთო-სახელმწიფო პოლიტიკის ჩარჩოებში. როდესაც ის გამოდის ამ ფარგლებიდან, მაშინ ერევა ცენტრალური ხელისუფლება. ამ შემთხვევაში სახელმწიფოს მეთაური. ასევე, რაც შეეხება რეგიონალურ ადმინისტრაციას, ესეც, რასაკვირველია, ცენტრალურ ხელისუფლებას ეხება და ის შეიძლება ცალკე არ შევიდეს ადგილობრივი მმართველობის კანონში.

თავმჯდომარე. მოვემზადოთ კენჭისყრისათვის.

ი.შენგელაია. მუხლი 24-ე წავიკითხოთ, რას ვუყრით კენჭს... მე მინდა განმარტება მოგცეთ, ბატონებო რომ კოლეგიის სახელზე კომისიამ შეიტანა მოთხოვნა, რომ კანონი...და ყველა კანონი თვითმმართველობის შესახებ დამდგარიყო სახელობით კენჭისყრაზე, მუხლი 24-ე. "ადგილობრივი მმართველობის ორგანოებს ხელმძღვანელობს მამასახლისი სოფელსა და დაბაში, მერი-ქალაქში და გამგებელი -რაიონში, რომელსაც 2 წლის ვადით"... ეს კორექტურა შეიტანეთ, თუ შეიძლება. ეს, იქნებ მეორე მოსმენის დროს გადავყწყვიტოთ. "შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიორიულ ერთეულში მცხოვრები საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოქალაქენი საყოველთაო, თანასწორი, პირდაპირი და ფარული კენჭისყრით. ადგილობრივი მმართველობის ხელმძღვანელი თავის უფლებამოსილებას ინარჩუნებს ახალი ხელმძღვანელის არჩევამდე. ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ხელმძღვანელი მოქმედებს კანონით. განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და არა აქვს უფლება გადაწყვიტოს ერობას მიკუთვნებული საკითხები". აქ რედაქციული შეცდომაა. ერობას, გამგეობას - არა. ეს არის მუხლი 24-ე. 42-ე მუხლში,... ამის შესახებ თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რა მექანიზმი არის ეს, ვის შეუძლია გადააყენოს. ერობა ხმების 2/3-ით შეუძლია დასვას საკითხი ან გადააყენოს... წავიკითხავ. მუხლი 42-ე.

I). "ხელისუფლების ადგილობრივი ორგანო, ერობა უფლებამოსილია დააყენოს შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველობითი ორგანოს ხელმძღვანელი პირის თანამდებობიდან გადაყენების საკითხი;

2) გადაწყვეტილება ძალაშია, თუ მას მხარი დაუჭირა ერობის ხმოსანთა 2/3-მა .

3) ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელ პირს უფლება აქვს ადგილობრივ რეფერენდუმზე გაიტანოს თავისი ნდობის საკითხი.

4) რეფერენდუმის გადაწყვეტილება საბოლოოა.

5) მოსახლეობის მიერ მმართველობის ორგანოს ხელმძღვანელი პირისადმი ნდობის გამოცხადების შემთხვევაში დგება ერობის ახალი შემადგენლობის არჩევის საკითხი". ახლა რაც შეეხება ამ მექანიზმს, ბევრი ეჭვი გამოითქვა წინა შეკრებაზე, რამდენად იმუშავებს, ეს ხომ არ იქნება მხოლოდ იურიდიული ნორმა, რომელიც იმოქმედებს თუ არა, საეჭვოა. ამიტომ არის სწორედ, პირველი კითხვით იმიტომ ხდება ამ მუხლების მიღება, რომ ჩვენ ეს მექანიზმი შეიძლება შევცვალოთ და სრულიად ახალი მექანიზმი ჩავდოთ, როცა იქნება კანონის მუხლობრივი მიღება.

<u>თავმჯდომარე.</u> მოვემზადოთ კენჭისყრისათვის. გთხოვთ, ჩავრთოთ. კენჭისყრა მიმდინარეობს. გთხოვთ, შევაჩეროთ. ბატონებო, პირველი მოსმენით სახელობითი კენჭისყრით ვიღებთ წარმოდგენილ პირველ ვარიანტს. გთხოვთ, ჩავრთოთ (კენჭისყრის შედეგები: მომხრე - I25, წინააღმდეგი - 2I, თავი შეიკავა - I2. სულ I67). (ტაში). ბატონებო, დღეს ასე მოვრჩეთ და მეორე მოსმენით...

<u>ი.შენგელაია.</u> მარცხენა, ეს შეთანხმება სიტყვიერია მხოლოდ, მაგრამ მე კიდევ ერთხელ გავიმეორებ ჩემს მოსაზრებას. საქართველოში ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ მოწყობაზე თუ არ გადავედით, დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, საქართველო ეკონომიკურად ვერ გამოვა კრიზისიდან. ამიტომ ერთადერთი გამართლება დღეს მიღებულ ვარიანტებს აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქართველოში შემოვა სამხარეო... საერთოდ ცნება მხარის, როგორც სოციალურ-ეკონომიკური ერთეულის და მისი ადმინისტრაციული მართვის სისტემა, უნდა შემოვიდეს დღეს საქართველოში.

<u>თავმჯდომარე.</u> ბატონი დავით კუპრეიშვილი. ბატონო დავით, გთხოვთ, მობრძანდეთ. სად არის? რესპუბლიკის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლის და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში... მე ვთხოვ დეპუტატებს, დარბაზი არ დატოვონ, კენჭისყრა დაგვჭირდება.

<u>დ.კუპრეიშვილი.</u> ბატონებო, დღეს თქვენ დაგირიგდათ პროექტები საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში, აგრეთვე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა და საქორწინო და საოჯახო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შესახებ. ეს საკითხი დღეს მეტად აქტუალურად დგას, ვინაიდან საქმე ეხება ცვლილებების შეტანას ქონებრივ სანქციებში, რაც გათვალისწინებულია ამ კოდექსებით. დღევანდელი მოქმედი კანონმდებლობით ზემოთ ჩამოთვლილ კოდექსებში ქონებრივი სანქციები გათვალისწინებულია ფიქსირებული თანხებით. ჯარიმები გათვალისწინებულია 100 მანეთამდე, 500 მანეთამდე, 1000 მანეთამდე. დღეს ჩვენს კომისიას გამოაქვს სამსჯელოდ, პირველი მოსმენით ეს პროექტი და ჩვენ გვინდა, რომ ერთად გადავწყვიტოთ საკითხი, საერთოდ, ახალი სისტემის შემოღების შესახებ. ვინაიდან, დღეს ინფლაცია ისეთი ტემპით მიმდინარეობს, რომ ძალიან ძნელია წინასწარ განსაზღვრა ამ ჯარიმებისა, ამიტომ შემოთავაზებულია წინადადება, რათა ჯარიმები იანგარიშებოდეს ხელფასის მინიმალური ოდენობიდან. ამიტომ, დღეს ჩვენ გვინდა კენჭისყრაზე დავაყენოთ ეს პრინციპი. ავიღოთ თუ არა ეს ახალი პრინციპი და, თუკი პარლამენტი ამ საკითხს დადებითად გადაწყვეტს, ამის შემდგომ თხოვნა გვექნება, რომ ყოველმა კომისიამ... აქ ძალიან ფართო სპექტრია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, იმიტომ, რომ გათვალისწინებულია ჯარიმები ისეთი სახის დანაშაულებებზე, რომლებიც, თქვათ, ეხება ტყით სარგებლობის წესების დარღვევას, ნიადაგის გაფუჭებას და მისი მოგების წესების დარღვევას და ა.შ. ამიტომ, მე თხოვნა მექნება ეკოლოგიის კომისიასთან, ასევე აგრარულ კომისიასთან და, უპირველესად, საფინანსო-საბიუჯეტო კომისიასთან, რომ მათ მოგვაწოდონ თავიანთი შენიშვნები, რადგანაც აქ ცვლილებები უნდა შევიტანოთ 100-ზე მეტ მუხლში. ცალ-ცალკე ამ მუხლების განხილვა აქ რომ დავიწყოთ, ეს ძალიან ბევრ დროს წაიღებს. ამიტომ, ყოველ მუხლთან დაკავშირებით თქვენი შენიშვნები მოგვაწოდეთ მარლწესრიგის და კანონიერების დაცვის კომისიაში. რაც შეეხება უშუალოდ დღეს გამოტანილ საკითხს, ჯარიმების გამოთვლის პრინციპი, რომელი პრინციპი ავირჩიოთ. დღეს არსებული წესი არის, რომ დადგენილია ფიქსირებული თანხები, მაგრამ ეს დღევანდელი პირობებისათვის იმდენად მიუღებელია, რომ მე მოგიყვანთ ერთ-ორ მაგალითს. ასეთი სახით არ შეიძლება კოდექსში არსებობდეს ნორმა. ერთი ასეთი ნორმა, მაგალითად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 42-ე მუხლში შრომის კანონმდებლობისა და შრომის დაცვის წესების დარღვევა თანამდებობის პირთა მიერ. შრომის კანონმდებლობა და შრომის დაცვის წესების დარღვევა გამოიწვევს დაჯარიმებას 50 მანეთამდე. ან კიდევ, სასო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფლო-სამეურნეო... მუხლი 52 ათ... სასოფლო-სამეურნეო და სხვა მიწების გაფუჭება საწარმოო და სხვა ნარჩენებით, ჩამდინარე წყლებით მათი გაჭუჭყიანება გამოიწვევს თანამდებობის პირთა დაჯარიმებას 1000 მანეთამდე. მოგეხსენებათ, თუ რა სიმძიმის შეიძლება იყოს ეს დარღვევა და დღეს ამ სახით შეუძლებელია არსებობდეს და მიზანშეწონილია, ჩვენი კომისიის აზრია, რომ ... ჯარიმების გადახდის პრინციპი... ავიღოთ ახალი პრინციპი, ეს იქნება მინიმალური ხელფასიდან გამოთვლის წესი. ეს გვაძლევს იმის საშუალებას, რომ ინფლაციის გათვალისწინებით ყოველთვის არ დავუბრუნდეთ ისევ ამ ცვლილებებს. ეს უპირატესობა აქვს დღევანდელ ჩვენს მიერ წარმოდგენილ პრინციპს და ძალიან გთხოვთ, თუ ამ პრინციპის შესახებ გინმეს აზრი გაქვთ. დღესვე გადავწყვიტოთ. ეს გაგვიადვილებს შემდგომ ყოველ მუხლზე მუშაობას.

თავმჯდომარე. ბატონებო, დაგირიგდათ ეს დოკუმენტი. ცვლილებები, რომ უნდა შევიტანოთ, ამაზე ორი აზრი არავის არა აქვს. 5 მანეთი და 50 მანეთი ჯარიმად ხომ აღარ ითვლება, ეს ფაქტია. დღეს მუხლობრივ განხილვას აზრი არა აქვს. კომისიამ იმუშავა კვალიფიციურად სხვა კომისიებთან ერთად და დოკუმენტი რიგიანად არის შედგენილი. იმედი მაქვს, შეკითხვების შემდეგ დეპუტატები ნდობას გამოუცხადებენ ამ დოკუმენტს, ამ ეტაპზე პირველი მოსმენით მივიღოთ და კიდევ ერთელ გთხოვთ, წერილობითი შენიშვნებით შევიდეთ კომისიაში მუხლობრივი განხილვისათვის, მეორედ მოსმენა რომ დროის დახარჯვის გარეშე იქნეს მიღწეული. მეხუთე, მეორე მიკროფონები.

რ.ჯაფარიძე. არ ვიცი, ალბათ, ეხება ამ კანონპროექტს ის, რასაც ახლა მე ვიტყვი. ბოლო დროს [illegible] გახშირდა ჩვენს პრესაში პიროვნების შეურაცხმყოფელი...

თავმჯდომარე. ამას არ ეხება ეს. ჯარიმებში არის.

რ.ჯაფარიძე. გამოხდომები, ჭორების გავრცელება და ა.შ. მე ვფიქრობ, რომ შევიტანოთ ამ პროექტში ასეთი დებულება, რომ დაწესდეს დიდი ჯარიმა ასეთი საქციელისათვის, რომელიც სასამართლოს საშუალებით დაეკისრება ამა თუ იმ ბეჭდვის ორგანოს და ამა თუ იმ ავტორს. ეს ყველა კულტურულ ქვეყანაში მიღებულია და, სამწუხაროდ, ჩვენში არ არის. მე ვფიქრობ, რომ აუცილებელი იქნება ამ პუნქტის დამატება.

დ.კუპრეიშვილი. მისაღებია თქვენი წინადადება, ამიტომ გთხოვთ, რომ ყველას, ვისაც აქვს მოსაზრება, კონკრეტულად რა სამართალდარღვევისათვის რა სანქციაა იყოს განსაზღვრული, ეს წინადადებები მოგვაწოდოთ ჩვენს კომისიაში და მერე წაკითხვით, როდესაც გამოვიტანთ პროექტს, იქ იქნება კონკრეტულად ყოველ მუხლზე თქვენი მოსაზრებები გათვალისწინებული და შემდეგ ვიმსჯელოთ. დღეს კი პრინციპზე გთხოვთ მხარდაჭერას.

თავმჯდომარე. ვთხოვ რეზო ჯაფარიძეს და სხვებს, წერილობით შევიდნენ კომისიაში, რათა მეორე მოსმენის დროს კონკრეტულად იყოს შევსებული ეს კანონი, მეორე, მეხუთე მიკროფონები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ.ნოღაიდელი. სამწუხაროდ, ეს დოკუმენტი მხოლოდ დღეს მივიღეთ. გუშინაც ითქვა კოლეგიაზე, არ ვართ მზად, რომ ამის თაობაზე კარგად ვიმსჯელოთ, მაგრამ ჩვენი კომისია - გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომისია ამუშავებს ადმინისტრაციულ და სისხლის სამართლის კოდექსებში ცვლილებებს და ამიტომ შედარებით მაინც მომზადებული ვართ სადისკუსიოდ, მოგეხსენებათ, რომ ადმინისტრაციული კოდექსის 27-ე და სისხლის სამართლის კოდექსის 30-ე მუხლები განმარტავენ ჯარიმებს. სწორედ ამაზეა აგებული ჯარიმების ცნება, საერთოდ, ერთ და მეორე კოდექსშიც. როდესაც ჩვენ ვიხილავდით ჩვენ ე.წ. ეპარქიაში ცვლილებებს, ჩიხში მოვექეცით, თითქოს, I0 მანეთამდე ჯარიმა, შემდეგ I000 მანეთამდე ჯარიმა, მაგრამ ეს დღევანდელ ვითარებაში მაინც ცოტაა. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ ეგებ ჯარიმის ცნება სხვანაირად ჩამოგვეყალიბებინა ან საერთოდ არ ყოფილიყო არც ერთ კოდექსში და თვითონ ჯარიმა დაგვეკავშირებინა ზარალთან. მაგალითად, რა მაგალითიც თქვენ მოიყვანეთ, ჩამდინარე წყლებით დაჭუჭყიანების თაობაზე, I000 მანეთი იყო ერთ დროს. დღეს შრომის ანაზღაურების 3 მინიმალურ ოდენობას აპირებთ I000 მანეთს გაუთანაბროთ, მაგრამ ათასი მანეთი თავის დროზე იყო შრომის მინიმალური ანაზღაურების I5-მაგი ოდენობა. სათანადო პროპორციები უნდა იყოს, ჩემის აზრით. ან დავუკავშიროთ მიყენებულ ზარალს. იმიტომ რომ ჩამდინარე წყლით დაჭუჭყიანებამ შეიძლება გამოიწვიოს ზოგიერთ შემთხვევაში 500 ათასი მანეთის ზარალიც კი. ან დღევანდელ ვითარებაში მილიონები და მილიარდები. ჩვენს მიერ მომზადებული ტყის უკანონო ჩეხვასა და სხვა ცოცხალი რესურსების განადგურებასთან დაკავშირებული წინადადებები სწორედ ამაზეა აგებული. ყოველ შემთხვევაში, ეს იყოს გათვალისწინებული, უფრო მკაცრი იყოს, ხელფასის სამმაგი ოდენობა არის 5I00 მანეთი, ესეც ასეთი დანაშაულის დროს არის სიმბოლური თანხა.

W-126

დ.კუპრეიშვილი. რაც შეეხება ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა 27-ე მუხლს, რასაც შევთანხმდით, რომ არ გვინდა მუხლობრივი განხილვა, ზოგადად მაინც ვთქვათ, რომ მინიმალური ჯარიმა იქნება ხელფასის მინიმალური ოდენობის I/I0-დი, მაქსიმალური - 30 კოეფიციენტი. რაც შეეხება მეორე საკითხს, რომ თანაფარდობა... ეს ძალიან რთული საკითხია. თუკი ჩვენ დღევანდელი პოზიციებით მივუდგებით, ზოგიერთ სამართალდარღვევაზე არის, მაგალითად, I000 მანეთამდე და, თუ ჩვენ მივუდგებით დღეს, რაც არის წარმოდგენილი, იმ პროექტით, შეიძლება, ჯარიმა გაიზარდოს I0-ჯერ. ზოგიერთ სამართალდარღვევაზე არის I5 ათასი მანეთი, მაგრამ შეიძლება, ის გაიზარდოს 2-ჯერ და მეტი არა. ეს თანაფარდობა ძალიან ძნელია, ამ თვალსაზრისით რომ განვიხილოთ. იქ არ იყო და დღეს... ასე შევაწონასწოროთ ეს. ამიტომ ჩემი თხოვნა ეს არის სწორედ, რომ ყოველ მუხლთან დაკავშირებით, აქ რომელიც არის... ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის კონკრეტულ მუხლებთან დაკავშირებით ყოველი თქვენი მოსაზრება, და მე ვახსენე, გარემოს დაცვის სამსახურებს აქ ძალიან ბევრი საქმე აქვთ ყოველ მუხლთან დაკავშირებით, რა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯარიმა იყოს გათვალისწინებული, აი ეს ჩვენ გვინდა სწორედ სპეციალისტებისაგან, რომ თქვენ როგორ მიგაჩნიათ, როგორ უფრო ოპტიმალური იქნება ეს საკითხი.

ზ.ნოლაიდელი. მეც. ამიტომ, პრაქტიკულად, ჩემი მხრიდანაც შეკითხვა იყო, როგორი დამოკიდებულება იქნება... დაკავშირებით ზარალის ოდენობასთან.

დ.კუპრეიშვილი. ზარალის ანაფარდობას რაც შეეხება, ეს სხვადასხვა საკითხია. ზარალი უდავო წესით ანაზღაურდება და ეს ჯარიმა არის კიდევ სასჯელი სამართალდარღვევისათვის.

ზ.ნოლაიდელი. მე იმას ვამბობ, რომ ჯარიმა იყოს, ვთქვათ, მიყენებული ზარალის ხუთმაგი ოდენობა...

დ.კუპრეიშვილი. ეს მოსაზრება, ზარალის ხუთმაგი ოდენობა და არა ხელფასიდან გაანგარიშება? დიახ. ბევრ შემთხვევაში არარეალური იქნება ამის შესრულება, იმიტომ, რომ ზარალი შეიძლება დიდი ოდენობის იყოს და იმისი კიდევ ხუთმაგი ოდენობა, ეს იქნება შეუძლებელი. ამიტომ უფრო სწორი იქნება ზარალი ანაზღაურდეს და პლუს შემდეგ, ხელფასის მინიმალური ოდენობიდან ათვლა მოხდეს ჯარიმისა. ეს უფრო სწორი იქნება. თქვენ თქვენი წინადადება მოგვაწოდეთ. სხდომაზე ვიმსჯელოთ.

თავმჯდომარე. ბატონებო, კენჭისყრას ვიწყებთ. მეშვიდე, მეორე მიკროფონები.

ნ.ღეკიშვილი. ბატონო დავით, ეს ძალიან მნიშვნელოვანი კანონპროექტია და შგონი, ამას უნდა ერთი სერიოზული ამბის გათვალისწინება. ამოღება ამ თანხების როგორ თქნება. ჩემი გამოცდილებიდან უნდა გითხრათ, რომ პრაქტიკულად, ის და ჯარიმების სისტემა, რომელიც ადრე იყო, პრაქტიკულად ვერ ხორციელდებოდა. მხოლოდ 10-15%-ის ამოღება ხდებოდა. აღბათ, რაღაც მექანიზმები უნდა იყოს. სხვადასხვა ქვეყნებში, ვინც არ გადაიხდის ჯარიმას, რაღაც სხვა გზებით ხდება მათი დასჯა და ეს მომენტები უნდა იყოს გათვალისწინებული.

დ.კუპრეიშვილი. ბატონო ნიკო, გეთანხმებით, მაგრამ ამ საკითხს დღევანდელ პროექტში ვერ გავითვალისწინებთ. ეს პროცესუალური საკითხია. ჩვენ ჯერ მივიღოთ გადაწყვეტილება, ჯარიმები რა წესით გამოითვლებოდეს, და შემდეგ ამ ჯარიმების ამოღების მექანიზმი... უნდა შევისწავლოთ პრაქტიკა საფინანსო ორგანოების, ეს იქნება შინაგან საქმეთა ორგანოების, და რომელიც უფრო ქმედითი იქნება ამ თვალსაზრისით, ის უნდა მოვიფიქროთ.

ნ.ღეკიშვილი. ეს საკითხი არის აუცილებლად გადასაწყვეტი, თორემ სხვა შემთხვევაში ეს კანონი არ იმუშავებს.

დ.კუპრეიშვილი. თუ ეს საკითხი მოუგვარებელია, ამაზე კიდევ ცალკე ვიმსჯელოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. მეორე მიკროფონი.

რ.ადამია. ბატონო დავით, გეთანხმებით, რომ პრინციპი, რასაც ახლა ამბობთ, არის აუცილებლად ჩასადები. მე მხოლოდ ასეთი მოსაზრება მაქვს და ვფიქრობ, რომ, ჯერ ერთი, ზოგადად მაინც მცირეა და ბატონმა ზურაბმა სთქვა, რომ ხშირ შემთხვევაში სიმბოლური თანხები გამოდის. მეორეც, იქნებ კიდევ გადავხედოთ... საერთოდ, ზოგადად ჩვენ გვქონდა, რომ ბევრ დარღვევაზე არ იყო ჯარიმები და იყო პირდაპირ თავისუფლების აღკვეთა. იქნებ ის მუხლები შევცვალოთ, როგორც არის ბევრ დასავლურ კანონმდებლობაში, ალტერნატიულის შემოღება. ან დიდი ჯარიმა ან თავისუფლების აღკვეთა.

დ.კუპრეიშვილი. ბატონო რეზო, კონკრეტულ მუხლებზე, რა დარღვევისათვის რა იყოს გათვდისწინებული, დღეს ამაზე არ არის მსჯელობა. დღეს არის, რომ პრინციპად რასვილოთ, მაშასადამე, ისევ ის ძველი ფიქსირებული თანხები, თუ შემოვიღოთ ახალი პრინციპი, ჯარიმები საიდან გამოვითვალოთ.

რ.ადამია. გეთანხმებით და ძველ კოდექსში, სადაც არის ჯარიმა,.. იყო მუხლები, სადაც მხოლოდ ჯარიმაა, იყო მუხლები, სადაც თავისუფლების აღკვეთაა. იქნებ ეს ჯარიმის მუხლები ისეთი პრინციპი, როგორც თქვენ ამბობთ, გავზარდოთ.

დ.კუპრეიშვილი. გეთანხმებით, სწორი მოსაზრებაა. აბსოლუტურად გეთანხმებით. აქ ჩვენ გვაქვს წარმოდგენილი ცვლილებები სისხლის სამართლის მე-2 პროექტში, სისხლის სამართლის კოდექსში, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, როდესაც... ამათ განხილვასაც დავიწყებთ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის მუხლებთან ერთად, აი, მაშინ შეგვიძლია, მეორე მოსმენით, როდესაც გამოვიტანთ, ყოველ კონკრეტულ მუხლზე, ვთქვათ, კანონმდებლები ჭრთ და ჩვენ თვითონ გადავწყვიტოთ, რომ...

თავმჯდომარე. მესამე მიკროფონი. ნუღარ დავიწყებთ ხელახალ განხილვას.

ი.ხაინდრავა. ბატონო დავით, გეთანხმებით, რომ კონკრეტულად ნუ დავიწყებთ... პრინციპულად, გადასვლა ასეთ ჯარიმებზე მისაღებია, თუმცა იქ ალაგ-ალაგ ფიგურირებს რიცხვი. მეჩვიდმეტედი, უცნაურად ჟღერს მეჩვიდმეტეტი. მინიმალური ანაზღაურების მეჩვიდმეტედი ნაწილი და...

დ.კუპრეიშვილი. მეჩვიდმეტედი არ იქნება, იმიტომ, რომ ყველაზე მინიმალური არის მეათედი. ყველაზე მსუბუქი დარღვევისათვის არის გათვალისწინებული მინიმალური ხელფასის მეათედი.

ი.ხაინდრავა. შემიძლია მოვძებნო, სადაც წერია მეჩვიდმეტედი, მაგრამ გადავდოთ მეორე წაკითხვისთვის, მაგრამ მუხლი 164-ე და მუხლი

I64-ე პირველი, რომლებიც ეხება შემოსავლისა და გადასახადების შესახებ დოკუმენტის წარუდგენლობას და მოგების შემოსავლის და გადასახადით დასაბეგრი სხვა ობიექტების დამალვას, ეს ძალიან სერიოზული დანაშაულია და დამეთანხმებით, ნორმალურ ქვეყნებში ეს არის ის, რაც ისჯება ძალიან მკაცრად. ის, რაც არის გათვალისწინებული ამ პროექტით, ჩემის აზრით, არ შეესაბამება დანაშაულის სიმძიმეს. ამიტომ, ჩემი წინადადებაა, რომ ამ მუხლებს ცოტა სხვანაირად მივუდგეთ, ვინაიდან, ფაქტობრივად, ეს არის შემოსავლების დამალვა გადასახადებისაგან და სასჯელი აქ უნდა იყოს სულ სხვანაირი და არ ვიცი, საერთოდ, ადმინისტრაციულში უნდა დარჩეს თუ სისხლის სამართალში უნდა გადავიდეს. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ყველაფერი, რასაც ამბობთ, საინტერესოა, საჭიროა, მაგრამ გავითვალისწინოთ, რომ არ არის მუხლობრივი განხილვა. პირველი მოსმენაა და თქვენი თანამშრომლობა საჭიროა კომისიაში. ამიტომ მეოთხე და მეორე მიკროფონების შემდეგ იქნება, შევწყვიტოთ კამათი.

თ.ბასილია. ბატონებო, ჩვენ პირველი მოსმენით ვღებულობთ ამას. ამდენად, არ არის საჭირო ფართო დებატების გაშლა, მით უმეტეს, საუბარია პრინციპებზე. კომისიასთან ჩვენ გვქონდა საუბრები. გუშინ შევთანხმდით ჩვენ, რომ პრინციპად უნდა ავიღოთ მინიმალური ხელფასის ოდენობა ჯარიმებისა, და იქნებ, ეს პრინციპები ავიღოთ საფუძვლად პარლამენტმა და მივცეთ საშუალება კომისიას, ამაში ჩაერთვება საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაც და შემდეგ მეორე წაკითხვით სრულყოფილად, დახვეწილად წარმოვადგინოთ პარლამენტზე. ვუყაროთ კენჭი.

თავმჯდომარე. მეორე მიკროფონი.

დ.მელიქიშვილი. ბატონო დავით, პროცედურასთან დაკავშირებით თუ ჩვენ კენჭი ვუყარეთ ამ დადგენილებას, რომელიც თქვენ წარმოადგინეთ და დაარქვით მას ზოგადი პრინციპების შესახებ დადგენილება სასჯელების შეცვლისა, მაშინ ჩვენ ამ დადგენილებით (ადგილობრივ კოდექსებში, პრინციპული ცვლილებები, მაგრამ დადგენილებით ჩვენ კანონში ცვლილებებს ვერ შევიტანთ. კანონში ცვლილებები კანონით უნდა შევიტანოთ. ამიტომ, მე მიმაჩნია, რომ ეს დადგენილება, რომელიც თქვენ გამოიტანეთ ზოგადი პრინციპების სახით, რომელიც აუცილებელია და აუცილებლად უნდა შეიცვალოს, სრულიად ზედმეტია. ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ კენჭი ვუყაროთ უშუალოდ კანონს და შემდეგ მუხლობრივად განვიხილოთ მეორედ მოსმენის დროს. დადგენილება ზედმეტია და იურიდიულად არასწორია.

თავმჯდომარე. ბატონებო, მოვემზადოთ რეგისტრაციისათვის. როდესაც ასეთი ვითარებაა, ამ დროს 7-8 დეპუტატი... მერე სწყინთ, რატომ არისო აღნიშნული ჩემი არდასწრება. გთხოვთ, ჩავრთოთ. მიმდინარეობს რეგისტრაცია (R-I64). მე მგონი, საკმარისია, პირველი მოსმენით მივიღოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვუყაროთ კენჭი. მიმდინარეობს კენჭისყრა.

(კენჭისყრის შედეგები: მომხრე - 145, წინააღმდეგი - 8, თავი შეიკავა - 4. (157).

ახლა კომისიის თავმჯდომარეები, ფრაქციის ხელმძღვანელები უკვე ტრიბუნაზე გამოდიან. კანონპროექტები გამოაქვთ და მუშაობას სხვა იერი მიეცა. მე მინდა, ბატონ დავითს მადლობა ვუთხრა და ეს გვაჩვენებს ჩვენ თანამშრომლობას. ამას იმიტომ გეუბნებით, რომ ნებისმიერ ბლოკს, ნებისმიერ ფრაქციას შეუძლია... საკითხი. ამიტომ არა მარტო უმრავლესობას ვცემთ პატივს ჩვენ, არამედ უმცირესობასაც. დღის წესრიგით უნდა გავაგრძელოთ ბატონ ნოდარ ნათაძის მიერ დასმული საკითხი, მაგრამ ვერ ვხედავ ჯერჯერობით. ნიკო ჭავჭავაძეს "აფხაზეთის" კომისიის სახელით აქვს განცხადება და "რესპუბლიკელებს" აქვთ განცხადება. ჩვენ აღვუთქვით 5-წუთიანი გამოსვლები. ეს პოლიტიკური განცხადებებია მხოლოდ.

ნ.ჭავჭავაძე. მე მგონია, ბოლო დღეებში თუ ვინმეს ეჭვი ეპარებოდა, რა ხასიათის ომი არის აფხაზეთში, დავრწმუნდით, რომ ეს არის ომი, რომელსაც აწარმოებენ ტოტალიტარული იმპერიის აღმდგენლები ქართველი და აფხაზი ხალხის წინააღმდეგ. აფხაზი ხალხი არის ჩათრეული ამაში როგორც მსხვერპლი. არ დამჭირდება, ალბათ, საუბარი, თუ რა საბედისწერო მნიშვნელობა აქვს ამ ომს ჩვენთვის, მთელი საქართველოსთვის. ყველა ღონე უნდა ვიხმაუროთ, რომ ამ საომარი ვითარებიდან გამოვიდეთ. მე მინდა, შემოგთავაზოთ პარლამენტის მიმართვა აფხაზი ხალხისადმი. თუ ეს მიმართვა მოგეწონებათ და მხარს დაუჭერთ, ძალიან მადლობელი ვიქნებით...შეიძლება, არ მოგეწონოთ რედაქცია, მაგრამ აზრი გასაგები იქნება.

"საქართველოს პარლამენტის მიმართვა აფხაზ ხალხს.

მე-9 თვეა, აფხაზეთში მძვინვარებს ძმათამკვლელი ომი. დაიღუპა ათიათასობით ოჯახი, ინგრევა და ნადგურდება ქალაქები და სოფლები. ღვთის მიერ მიწიერ სამოთხედ ნაბოძები მხარე ჯოჯოხეთს ემსგავსება და, თუ დროზე არ მოვეგეთ გონს, შეიძლება სრულიად დაიცალოს აფხაზებისგანაც და ქართველებისგანაც. იქნებ ახლა მაინც ჩავფიქრდეთ და მივხვდეთ, რომ ეს ომი მხოლოდ ბოროტების იმპერიის რეანიმატორებს აძლევს ხელს, რომ ყველა გაუგებრობა ჩვენს შორის, საუკუნეების მანძილზე ერთიან სამშობლოში ძმურად მცხოვრებ აფხაზებსა და ქართველებს შორის სწორედ ამ ბოროტების იმპერიის მიერ არის თავმოხვეული და სწორედ ერთად თუ შევძლებთ მისგან განთავისუფლებას. გავიხსენოთ, როდის იყვნენ ჩვენი წინაპრები ძლიერნი, მართალნი და გამარჯვებულნი. მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა ერთად იყვნენ ჭირშიც და ლხინშიც, თავიანთი ერთიანი სამშობლოს დაცვაში და აღმშენებლობაში, როცა მათ ბოლომდე სწამდათ, რომ არ არსებობს აფხაზური პრობლემა, რომელიც იმავე დროს ქართული არ იყოს, და არ არსებობს ქართული პრობლემა, რომლის

მიმართაც აფხაზი შეიძლება გულგრილი იყოს. ნუ შეგურაცხყოფთ ჩვენი წინაპრების ძმობას, ნუ შეგაშფოთებთ მათ წმინდა სულებს, გიფიქროთ ჩვენს შვილებზე და შვილიშვილებზე.ნუ დავიდებთ მიუტევებელ ცოდვას მათ მიმართ. მათ მაინც ერთმანეთის გვერდით მეგობრულად უნდა იცხოვრონ,თუკი ჩვენ კიდევ დავუტოვებთ მათ ამ ქვეყნად ყოფნის შესაძლებლობას.

საქართველოს პარლამენტი მოუწოდებს, აფხაზი ხალხის წარმომადგენლებს, უხუცესებს, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატებს, შევხვდეთ ნებისმიერ ადგილას, რათა განვიხილოთ და მოვაგვაროთ ჩვენს შორის არსებული ყველა პრობლემა ისე, როგორც ეს ეკადრება აფხაზი და ქართველი ხალხების ღირსებას".

თავმჯდომარე. მივიღოთ, კენჭი ვუყაროთ.

ნ.ჭავჭავაძე. დიდი მადლობა.

ე.შევარდნაძე. მე ვფიქრობ, საკამათო არ უნდა იყოს, და მინდა მივესალმო კომისიის და ბატონი ნიკოს ამ ინიციატივას. ვფიქრობ,ერთი და მეორე მხარეც მიდის იმ დასკვნამდე, რომ გაგრძელება ამ უბედურებისა საბოლოო ჯამში გამოუსწორებელ შედეგებამდე მიიყვანს აფხაზ ხალხს და ქართველებს, და საქართველოს საერთოდ. ვფიქრობ, სწორად არის ხაზი გასმული, სწორად არის აღნიშნული, რომ, თუ ეს ომი გაგრძელდა, ამ ომის გაგრძელებით და მისი შედეგებით ვერც ქართველები მოიმკიან რაიმეს სასიკეთოს და ვერც აფხაზები, ისარგებლებენ ისინი, ვინც პრაქტიკულად სულისჩამდგმელი იყო თავიდან ამ ავანტიურისა. ამიტომ, მე მინდა, აქტიურად დავუჭიროთ მხარი ბატონ ნიკოს წინადადებას, და კარგი იქნებოდა, თუ მოვიფიქრებდით... ისევ ან აფხაზური კომისიის ფარგლებში ან მათი ინიციატივით შეიქმნება ისეთი ჯგუფი დეპუტატებისა, რომელთაც სურვილიც აქვთ, საშუალებაც და უფლებაც წარმართონ ეს დიალოგი აფხაზური საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან. როგორც მე ვიცი, ასეთი მსურველები იქაც არიან, და მე მგონი, სერიოზული და კარგი საქმე იწყება.

თავმჯდომარე. ამას არ უნდა ფარული ჭნჭისყრა და გთხოვთ... გთხოვთ დაუშვათ ნელი. წინააღმდეგი ვინ არის? არავინ. თავი ვინ შეიკავა? არავინ. „რესპულიკელებს" აქვთ განცხადება. აქ მობრძანდით. მესამე მიკროფონი.

დ.ბერძენიშვილი. ჩვენ ჯერ დაველოდებით იმ საკითხის განხილვას, რაც ბატონმა ნოდარმა უნდა წარმოადგინოს.

თავმჯდომარე. მაშინ, იქნებ... პირველის ნახევარია. პირველ საათზე განვაახლოთ მუშაობა, საკითხები გვაძლევს საშუალებას, დიდი დასვენება გავაკეთოთ. 2 საათზე განვაახლებთ მუშაობას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესვენების შემდეგ

სხდომას თავმჯდომარეობს საქართველოს
პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე

თავმჯდომარე. ხვალ დილით 9 საათზე ჩატარდება ამავე დარბაზში აგრარული კომისიის სხდომა, სადაც განხილული იქნება საქართველოს მცხოვრებთათვის, მოსახლეობისათვის მეტად აქტუალური კანონი მიწის კოდექსის შესახებ. მსურველებს ვთხოვთ დაესწრონ. დღეს დეპუტატებს დაურიგდათ და პრესაშიც გამოქვეყნდა მიწის საკუთრების შესახებ კანონპროექტი. კანონი ძალზე მნიშვნელოვანია. კომისია ითხოვს დეპუტატებისაგან შენიშვნებს და წინადადებებს ეკონომიკურ საკითხთა კომისიაში, რათა ისინი გათვალისწინებული იქნეს მისი პარლამენტზე განხილვის დროს. პარასკევს, შაბათს და ორშაბათს ამ საკითხებზე იმუშავებს კომისია. მეგღუდ წიკლაური... 8 აპრილს გაზეთ "საქართველოს რესპუბლიკაში" გამოქვეყნდა საქართველოს პარლამენტის აგრარული კომისიისა და ფრაქცია "აღორძინების" საქართველოს რესპუბლიკის საადგილმამულო კანონპროექტი, რომლის წინასწარი განხილვა მოეწყობა შაბათს, 24 აპრილს დღის II საათზე პარლამენტის სხდომათა დარბაზში. დეპუტატებს ვთხოვთ განხილვას დაესწრონ. სამშაბათს, 27 აპრილს აღნიშნული კანონპროექტი პარლამენტის სხდომაზე იქნება გატანილი. ეს ცოტა ნაადრევია, მაგრამ ნაწილს გავუწოთ ანგარიში. გრძანეთ.

ვ.რჩეულიშვილი. გუშინ აზერბაიჯანის პარლამენტმა რატიფიცირება გაუკეთა საქართველოსთან დადებულ ხელშეკრულების პაკეტს. ერთხმად იყო რატიფიცირებული. მინდა შეგახსენოთ, რომ ის კომისია ან ჯგუფი, სადეპუტატო, აზერბაიჯანთან მუშაობის ისევე, როგორც უკრაინასთან მუშაობის ხელშეკრულებები, ორივე პარლამენტთან დადებული გვაქვს. უნდა დაკომპლექტდეს უკვე და ბატონ ხიზანიშვილთან, გთხოვთ, შემადგენლობა მიაწოდოთ ფრაქციებმა ხიზანიშვილს. აზერბაიჯანის პარლამენტა მოგვმართა თხოვნით. არსებობს აზერბაიჯანის პოლიტოლოგიის ინსტიტუტი და ინსტიტუტმა მოგვმართა თხოვნით, რომ პარტიებმა, საქართველოს პოლიტიკურმა პარტიებმა მიაწოდონ მასალები თავის საქმიანობის შესახებ. ეს გვიწერია საპარლამენტთშორისო ხელშეკრულებაში და დაინტერესებულმა პარტიებმა, გთხოვთ, ჩვენს კვლევით სამსახურს პარლამენტის, მიაწოდოთ ის ინფორმაცია, რასაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან, რათა იქ ინსტიტუტში სათანადო კურსსაც კითხულობენ ამისას და რათა პარლამენტს ჰქონდეს ეს ინფორმაცია აზერბაიჯანის . გმადლობთ.

თავმჯდომარე. ერთი სასიამოვნო ინფორმაცია და საფიქრალი. პარლამენტის თავმჯდომარის სახელზე მწერალთა ჯგუფის მიმართვა არის. ქართველ მწერალთა ჯგუფი მოგვმართავს ასეთი თხოვნით, დაარსებული იქნეს თამარ დედოფლის სამშვიდობო, საერთაშორისო ორდენი, რომელიც მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყანაში თამარის დაბადების დღეს, I მაისს, ძველი ან ახალი სტილით

მიენიჭებათ ქალებს, ერთს ან რამდენიმეს მშვიდობისათვის, საქართველოს წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის. ხელისმომწერთა სიას ზოგს ვერ ვარჩევ და აღარ წავიკითხავ. ბატონი რეზო ჭეიშვილი არის ინიციატორი და შემოქმედი. არის აზრი, რომ კომისიამ მოამზადოს... კულტურის კომისიამ, იურიდიულმა და კიდევ რომელი კომისიები? ადამიანის უფლებათა კომისიამ... მესამე მიკროფონი ბატონ რეზოს... მესამე მიკროფონი.

<u>რ.ჭეიშვილი</u>. ბატონო თავმჯდომარე, ეს განცხადება მე დღეს არ მინდოდა... ჩვენ შევთანხმდით, რომ არ გვეთქვა იმიტომ, რომ საამისო სიტუაცია რატომღაც არ დადგა. ჩვენ... დიდი ხანია ტრიალებს, დიდი ხანია თქვენთან არის ეგა, მწერლები აწერენ ხელს. ადგილობრივ მწერლებს ხელი არ მოუწერიათ, ისინი დაადასტურებენ კენჭისყრით. ან ხმას მისცემენ, ან არ მისცემენ. იქნებ, რაღაც საშვიდობო დრო დამდგარიყო, მაგრამ ეს გამოიწვია იმან, რომ პირველი მაისი მოვიდა და პირველ მაისს რომ იყო ასეთი წინადადება... გაცემულიყო ერთი ან ორი მედალი პრეზიდენტი არსებობს. იყო წმინდა ანას ორდენი, ეკატერინეს ორდენი და სხვა ქალების ორდენი. ამას მიიღებდა საქართველოში, ვთქათ, ის დედა, რომელმაც შეწირა შვილები სამშობლოს. მიიღებდა ამას შვეიცარიაში ქართველოლოგი თუ რომელიმე სახელმწიფო მოღვაწე არაქართველი, წელიწადის ერთ დღეს, თამარის დაბადების დღეს, ძველი ან ახალი სტილით. თუ დაუჭერს მხარს პარლამენტი, შეიძლება ასეთი ორდენი დაარსებული იქნეს. ორდენი უნდა იყოს ღირებული, რომ არ დაიწუნოს რომელიმე სახელმწიფოს მონარქმაც კი. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე</u>. ვიღებ შენიშვნას, რომ აქამდე ვერ მოვამზადებინეთ.. მე მგონი, კეთილშობილური წინადადებაა. სამშაბათისთვის, მაშინ კულტურის კომისიამ... პარლამენტის აზრი ჩავთვალოთ კოლეგიისათვის... დავაღებად, რომ სამშაბათისათვის მომზადდეს ეს საკითხი. დიდი მნიშვნელობა ექნება თამარის პიროვნების საერთაშორისო არენაზე უფრო გაცნობიერების თვალსაზრისით და ჩვენი კონტაქტებისათვის. კარგის მეტი არაფერი არ ახლავს ამას, მე მგონია. მივიღოთ ასეთნაირად, რომ სამშაბათს კულტურის კომისიამ გამოიტანოს. ბატონო რეზო, რას იტყოდით? ამას პირველ მაისამდე თუ მივიღებთ, მაშინ აქვს ფასი. გმადლობთ. ჩვენ შემდეგი გვაქვს დღის წესრიგით... დაგირიგდათ თქვენ ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის კომისიისაგან მომზადებული დადგენილების პროექტი. ბატონი ნოდარი თვითონ იგვიანებს, ამ საკითხებზე არის სამხედრო სპეციალისტებთან. მეც წავიკითხე და თქვენც წაიკითხეთ, აღბათ, ეს და დრომ რომ არ დავკარგოთ...იქნებ სამხედრო ექსპერტების აზრიც საინტერესოა, რომ არის თუ არა... სამხედრო დოკუმენტს განსაკუთრებული სიზუსტე სჭირდება. მე მინდა, რეალურად რომ შევხედოთ ამ დოკუმენტს... აღბათ, წაიკითხეთ, იქნებ ამას კიდევ რაღაც დაჭირდეს, მომზადება და მეოთხე მიკროფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ.ხავთასი. ბატონებო, დღეს ჩვენ დაგვირიგდა, რატომღაც, შუა სხდომაზე საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი. ყურადღებით გავეცანი მე პირადად ამ პროექტს და რამდენიმე მოსაზრება მინდა გამოვთქვა. ეწინააღმდეგება თუ არა ეს პროექტი, დადგენილების ეს პროექტი, მოქმედ კანონმდებლობას.

თავმჯდომარე. თავდაცვის კანონი რომ მივიღეთ, იმას გულისხმობთ?

გ.ხავთასი. დიახ, თავდაცვის კანონი. ამას გარდა, არის სახელმწიფო ხელისუფლების კანონში, წყობა არის და მაგალითად, თავდაცვის მინისტრის ფუნქციები აქ არის თუ არა წამოღებული სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ შტაბთან და ა.შ. რა თქმა უნდა, ეს დადგენილება ეწინააღმდეგება ისეთ დონეზე, რომ ფაქტიურად, ჩვენ ვკითხულობთ იქ... პირველ განყოფილებაში ჩამოთვლილია, რა უფლებები აქვს სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ შტაბს და თვითონ სახელმწიფოს მეთაურს და თავდაცვის სამინისტროს ევალება, ე.ი., დაგეგმოს და განახორციელოს შეიარაღებული ძალების მშენებლობა. მოამზადოს კანონებისა და დადგენილებების ტექსტები. განახორციელოს სამხედრო კავშირურთიერთობები. ე.ი., საწვავ-საპოხი მასალით მოამარაგოს არმია. სამოქალაქო თავდაცვის ორგანიზაცია და წარმართვა და ა.შ. მაგრამ არსად არ წერია მეორე განყოფილებაში, თავდაცვის სამინისტროს რომ ევალება, ვთქვათ, ომის წარმოება, საომარი ოპერაციების წარმოება, დაგეგმვა, მოქმედება და ა.შ. და მართლაც, რესპუბლიკის დაცვა. მე ვფიქრობ, რომ აქ დიდი ხანია იქმებოდა... ეს საკითხი და მე დღეს მინდა ყველაფერი ღიად და პირდაპირ ვთქვა. საქმე იმაში გახლავთ, ჩემი აზრით, შეიძლება, საკამათო იყოს ეს აზრი, მაგრამ მე მაინც უნდა ვთქვა ჩემი აზრი, რომ დღეს საქართველოს ჰყავს თავდაცვის მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი, არ ჰყავს თავდაცვის მინისტრი. ეს არის ჩვენი ბრალი. არ ჰყავს ვიცე-პრემიერი, თავდაცვის სამინისტროს კურატორი. ესეც ჩვენი მინუსია. გახოვთ, მაშინ, როდესაც ვიცე-პრემიერების მოადგილეების დაკომპლექტება ხდებოდა, გარკვეული ძალები დაჟინებით მოითხოვდნენ ვიცე-პრემიერის პოსტის შემოღებას, თუმცა, ჩვენ მაშინ მოგვაჩნდა, რომ ეს პოსტი ზედმეტი იყო. არ დაინიშნა ვიცე-პრემიერი, არ დაინიშნა თავდაცვის მინისტრი. აგერ უკვე 6 თვეა სახელმწიფოს სათავეში ვართ და დღეს ხდება თავდაცვის სამინისტროს ფუნქციების შემცირება, შეზღუდვა და ამ ფუნქციების გადატანა სახელმწიფოს მეთაურის, ე.ი., უმაღლეს მთავარსარდალთან არსებულ შტაბთან. პირდაპირ უნდა ითქვას, აღბათ, ეს არის ბატონი თენგიზ კიტოვანის კანდიდატურასთან რაღაც კავშირში და მე მაქვს ასეთი წინადადება....

თავმჯდომარე. რასთან კავშირში?

გ.ხავთასი. კავშირში იმასთან, რომ ბატონი თენგიზი არ არის დანიშნული თავდაცვის მინისტრად, და ნორმალურ ქვეყანაში თავდაცვის მინისტრს უნდა ევალებოდეს ყველა ის ფუნქცია, რომელიც დღეს ეძლევა სახელმწიფოს მეთაურთან არსებულ შტაბს. თუ ჩვენ გვინდა დავაკანონოთ, რომ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გყავდეს თავდაცვის მინისტრი დანიშნული წლების განმავლობაში, თვეები არის უკვე... ასეა, ნახევარი წელიწადი ხდება და, ე.ი. დარჩეს ბატონი თენგიზი მოვალეობის შემსრულებლად და მისი ფუნქციები გადავაბაროთ სხვას და ბატონი თენგიზის ფუნქციები დავიყვანოთ მეურნეობის მუშაკის ფუნქციებამდე, მე პირადად, ეს არ მინდა, იმიტომ, რომ დღეს არის ბატონი ედუარდ შევარდნაძე საქართველოს სათავეში. რამდენიმე წლის შემდეგ ან ხვალ შეიძლება სხვა იყოს, რომელსაც ეს კანონმდებლობა აღარ მიესადაგება. ჩვენ დღეს კანონებს ვაკეთებთ ერთი კაცის თვისებებთან შეფარდებით. ასე შეუძლებელია, ბატონო ვახტანგ, მინდა ვთქვა, რომ მაშინ მე შემოგაქვს ასეთი წინადადება, რომ ყველაფერი გაირკვეს. ან დავნიშნოთ თავდაცვის მინისტრი, მე არ ვიცი, ვინ იქნება, სახელმწიფოს მეთაურს აქვს მისი კანდიდატურის წამოყენების უფლება, წამოაყენოს კანდიდატურა, ვიმსჯელოთ და იქნებ, არ გახდეს საჭირო ამ დადგენილების მიღება. იქნებ, ისეთი პიროვნება მოიძებნოს, რომელიც ყველა ამ ფუნქციას ბრწყინვალედ შეასრულებს... თუ თქვენ არ გაკმაყოფილებთ იმ პიროვნების თვისებები, რომელიც დღეს თავდაცვის მინისტრის პოსტზეა. თუ არა, მაშინ ბატონი ედუარდი არის პარლამენტის თავმჯდომარე, სახელმწიფოს მეთაური, უშიშროების საბჭოს თავმჯდომარე, უმაღლესი მთავარსარდალი, საკონსტიტუციო კომისიის თავმჯდომარე და მაშინ მე შემოვდივარ წინადადებით, ამ პროექტის განხილვაში დრო... რომ არ დავკარგოთ, ბატონ ედუარდს შევუთავსოთ თავდაცვის მინისტრის პოსტიც და ბატონი თენგიზ კიტოვანი გადავიყვანოთ სამეურნეო ნაწილის დარგში მოადგილედ თავდაცვის მინისტრის. სხვანაირად ამას არავითარი აზრი არა აქვს. მე ვერ ვხედავ აზრს ამ პროექტში. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე.</u> მეორე მიკროფონი.

<u>რ.ადამია.</u> დადგენილება მიღებული იქნა თავდაცვისა და უშიშროების კომისიის მიერ. ამ შემთხვევაში მე გამოვდივარ როგორც ამ კომისიის მდივანი. მინდა მოგახსენოთ, რომ კატეგორიულად ვერ დავეთანხმები ბატონ გია ხაგთასის მიერ მიცემულ ინტერპრეტაციას ამ დადგენილებაზე. ძირითადი პრინციპი და აზრი, რომელიც ამ დადგენილებაში იყო ჩადებული არის ის, რომ საერთოდ ყველა ქვეყანაში მიღებულია, რომ შეიარაღებულ ძალებს აქვთ სტრუქტურა და აქვთ ფუნქცია და ყველგან მიღებულია ასე, რომ მის სტრუქტურას, მის აღმშენებლობით საქმიანობას ეწევა თავდაცვის სამინისტრო, ხოლო ფუნქციას ამ ჯარებისა, განსაკუთრებით საომარ პირობებში, ასრულებს გენერალური შტაბი. არსად არ არის თავდაცვის სამინისტროს გენერალური შტაბი. ეს არის შეიარაღებულ ძალთა გენერალური შტაბი. ამაში შედის არა მარტო თავდაცვის სამინისტროს ძალები, არამედ შინაგანი ჯარები. შედის ის ძალები, რომლებიც შედის სამხედრო პოლიციაში, სასაზღვრო ძალები და ა.შ. ეს ძალები, განსაკუთრებით იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვართ, აუცილებლად უნდა იყოს კოორდინირებული, აუცილებად უნდა იყოს დაქვემდებარებული,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღაც ერთ საკოორდინაციო ცენტრს, რომელიც წარმართავს საბრძოლო მოქმედებებს. თორემ დღეს ჩვენ ისეთ მდგომარეობაში ვართ, როდესაც თავდაცვის სამინისტროს შტაბი ატარებს რაღაც აქციას ერთის მხრივ, მეორეს მხრივ, მაშველთა კორპუსს აქვს თავისი გეგმა, მესამე მხრივ, სასაზღვრო ძალებს აქვს თავისი გეგმა და ა.შ. ეს არის ის აზრი, რომელიც იყო ჩადებული ამ დადგენილებაში, ერთ-ერთ მუხლზე, სწორედ. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მეოთხე, მეშვიდე მიკროფონები.

დ.კოვზირიძე. ვფიქრობ, რომ ასეთი საკითხის განხილვის დროს თავდაცვის მინისტრი უნდა ესწრებოდეს, და დღეს ბატონი თენგიზი აქ არ გრძანდება და ამდენად ხომ არ აჯობებდა მისი თანდასწრებით იქნეს განხილული ეს საკითხი.

მ.გიორგაძე. მე თვითონ ვარ ამ კომისიის წევრი, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიმიღია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ ეს არ არის ახალი ვარიანტი ან ახალი რედაქცია, ან ისეთი დადგენილების პროექტი, რომელიც მხოლოდ დღევანდელ სიტუაციას შეესაბამება. როდესაც ჩვენი სახელმწიფო საბჭოში ვმუშაობდით და ეს საბჭო არსებობდა, მაშინაც შესაბამის კომისიაში ეს წინადადება იყო დასმული და ამისმაგვარი პროექტი იყო მომზადებული და საკმაოდ სერიოზული მუშაობა იყო ჩატარებული. ამავე დროს, მინდა აღვნიშნო, რომ მაშინ ეს საკითხი გავიდა გარკვეულწილად პრეზიდუმზეც და აქ იყო საუბარი, რომ მომზადებულიყო უფრო გლობალურად ამის გადაწყვეტა. არჩევნებთან დაკავშირებით ეს საკითხი გადაიდო და... მე ცოტა ისტორია წავუმძღვარე ამ მომენტს იმიტომ, რომ, მე მგონი, რომ არ მოხდეს, აზრი რომ არ,... რომ დღეს შექმნილი ნაუცბათევი პროექტია. ეს დადგენილება არის აუცილებელი და ამის დასაბუთება... ბატონმა ადამიამ დაასაბუთა. მთლიანად ნებისმიერ, ყველა ნორმალურ სახელმწიფოში თავდაცვის მინისტრი არის პოლიტიკური თანამდებობა და არა სამხედრო ოპერატიული თანამდებობა. სამხედრო ოპერატიულ მოქმედებას განსაზღვრავს მთლიანად გენერალური შტაბი, ხოლო თავდაცვის მინისტრი უნდა ექვემდებარებოდეს... თავდაცვის სამინისტრო არის პოლიტიკური სამინისტრო და მას ბევრ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, საერთო არაფერი აქვს სამხედრო მოქმედებასთან და ზოგიერთ ქვეყანაში ვიცით, რომ ქალი არის თავდაცვის მინისტრი, იმიტომ, რომ ეს არ ფუნქციონირებს როგორც სამხედრო პიროვნება, და თუნდაც ბოლოდროინდელი მაგალითები, ზოგიერთ ცხელ წერტილებში, რომლებიც მთელ მსოფლიოში არსებობს... ახლო აღმოსავლეთის მაგალითი თვალწინა გვაქვს ან სხვა რეგიონის მაგალითები, სადაც უშუალოდ გენერალური შტაბი წარმართავს სამხედრო მოქმედებებს, გეგმავს,ამზადებს ოპერაციებს და მხოლოდ ამის პოლიტიკურ საფუძვლებს, მომზადების საფუძველებს ქმნის თავდაცვის სამინისტრო, ამუშავებს ზოგად კონცეფციებს ჯარის განვითარებისა, პოლიტიკურ მიმართულებებს ამ საკითხებში და მე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიმაჩნია, რომ ეს დადგენილება არის საკმაოდ დროული და, აღბათ, ხელს შეუწყობს ჩვენი ჯარის ფორმირების პროცესს და ერთიანი ქართული ჯარის შექმნას.

თავმჯდომარე. სხვა ხომ არ არის მსურველი? მეოთხე და მეორე მიკროფონები. კი ბატონო, მეორე და მეოთხე მიკროფონები.

გ.ბარამიძე. მე მინდა დამატებითი არგუმენტაცია მოვიტანო ასეთი დადგენილების მიღების სასარგებლოდ და ერთი ამბავი მინდა ვთქვა,რომელიც ფართო საზოგადოებრიობისთვის, როგორც ჩანს, არ არის ცნობილი და ჩემდა გასაკვირად საქმე ეხება, ბოლოდროინდელ მოვლენებს, რომლებიც მოხდა ტყვარჩელის გარშემო ოჩამჩირეს ფრონტზე. მე არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა, ბატონო ვახტანგ, მე მინდა ვიკითხო, ეს საკითხი ახლა დავაყენოთ თუ რაიმე დახურული სხდომა იქნება ამისათვის. საქმე ეხება, იმ ოპერაციას, რომელიც ჩატარებული იქნა მაშველთა კორპუსის მიერ და რომელიც, რატომღაც მხარდაჭერის გარეშე აღმოჩნდა, რამაც,ჩემის აზრით, როგორც თვითმხილველის, მე იქ ვიყავი, გამოიწვია იმ დიდი ოპერაციის მთლიანად განუხორციელებლობა. მე ნებართვა მინდა ვითხოვო, გავაგრძელო საუბარი, თუ...

თავმჯდომარე. არა ამ საკითხზე არა.

გ.ბარამიძე. მაშინ ცალკე მოგახსენებთ.ეს შემთხვევა არ გახლავთ უბრალო შემთხვევა. დეტალური მსჯელობის საგანი უნდა გახდეს და საჭირო არის აუცილებლად აქ ყველა პასუხისმგებელი პირი ესწრებოდეს და შესაბამისად პასუხი გაგვცეს. მე დავამატებ, რომ ეს შემთხვევა ერთი მაგალითია იმისა, რომ არ არის კოორდინირება და ამის გამო მნიშვნელოვანი ოპერაციები არ ხორციელდება, და ეს არის სწორედ ომის გაჭიანურების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი და აუცილებელია ამიტომ, რომ ჩამოყალიბდეს რაღაც სტრუქტურა, რომელიც მოახდენს კორდინაციას ყველა იმ შეიარაღებული ფორმირებებისა, რომლებიც დღეს ჩაბმული არიან სამხედრო ოპერაციებში.გმადლობთ.

თავმჯდომარე. მეოთხე მიკროფონი.

ა.ასათიანი. მე დავიწყებდი ბატონი გიორგის ბოლო ფრაზით, მე რამდენადაც მასსვოს და დარწმუნებულიც გახლავართ ამაში, კოორდინატორის, კოორდინაციის ფუნქცია არსებობს ხელისუფლების შესახებ კანონში, თავდაცვის შესახებ კანონშიც. ეს არის უმაღლესი მთავარსარდალი,სახელმწიფოს მეთაური გახლავთ ისევე, როგორც ყველა ქვეყანაში. არა მგონია, მაინცდამაინც კოორდინაციას ისახავდეს მიზნად ის, რასაც თქვენ ბრძანებთ, და ეს დადგენილება თვითონ... თუ კოორდინაციაზეა ლაპარაკი, ამის საშუალება არსებობს ერთპიროვნულიც და არსებობს თავდაცვის საბჭოს მეშვეობითაც.სამწუხაროდ, ისეთი ფაქტის წინაშე ვდგევართ ამ შემთხვევაშიც, რომ არც დებულება თავდაცვის საბჭოსი, არც მისი შემადგენლობა პარლამენტს არ დაუმტკიცებია, რაც იგულისხმება კანონით იგივე ხელისუფლების შესახებ.ჩვენ,მე პირადად და მთელი ჯგუფი დეპუტატების, მთელი რიგი, ის ხალხი ვართ,რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელიც აღტაცებული არ ვიყავით ასეთი ორგანოს შექმნით.ეს არის ნახსენები ხელისუფლების შესახებ კანონში... არც მისი უფლება-მოვალეობანი, არც მისი დებულება, არც მისი შემადგენლობა... მე ამას ხაზს ვუსვამ ერთის მხრივ, მაგრამ მეორეს მხრივ, როგორც ჩანს, იგუისხმება თავდაცვის საბჭოს ერთ-ერთ ფუნქციად და უმთავრეს ფუნქციად. მე მგონი, ეგ უნდა იყოს კოორდინაცია იმ პრობლემებისა, რომლებიც დაკავშირებულია ქვეყნის უსაფრთხოებასთან. მე ასე წარმომიდგენია. თუ რაიმე სხვა აზრი ძევს თავდაცვის საბჭოს შინაარსში, მისი შექმნის აუცილებლობაში, ამაზე მაშინ ვიმსჯელებთ, როცა დებულება გამოვა დასამტკიცებლად. ამდენად, კოორდინაციის საკითხის მოგვარებას ეს დადგენილება არ უნდა უწყობდეს ხელს, შეიძლება, არც უშლიდეს, მაგრამ ასეთი გადამყვეტი მნიშვნელობა ამ დადგენილებით ამ საკითხს არ ეძლევა. მეორე, მე მაინც მინდა გავიმეორო ჩემს წინ გამოსულების, ბატონი გიორგი ხავთასისა და ბატონი კოვზირიძის აზრი. ჯერ ერთი, ეს არის მნიშვნელოვანი საკითხი. ბევრი თვალსაზრისით. ჩვენ ისეთ ქვეყანაში ვცხოვრობთ, და პოლიტიკური ცხოვრების, დემოკრატიული და სახელმწიფოებრივი ინსტიტუტების ჩამოყალბების პროცესში და უტრადიციობის პირობებში პერსონიფიცირებულია ჩვენში სახელმწიფო სტრუქტურებიც, პოსტებიც, ყველაფერი, დაწყებული... პარტიებიც პერსონიფიცირებულია, სახელმწიფოს მეთაურის პოსტიც, მინისტრებიც, სამწუხაროდ. სახელმწიფოს მეთაურს კიდევ შეეგუებოდა კაცი, ამერიკაშიც კი ასე არის,მაგრამ ჩვენთან სხვა სიტუაცია გახლავთ, ჩვენთან ადგილობრივი მმართველობაც ასევე იქნება. ამაში მაღე დავრწმუნდებით, პერსონიფიცირებული გახდება. ამას ყველანი ვნახავთ, სამწუხაროდ. ამიტომ ყველაზე სწორი იქნებოდა, რომ წინადადება, რომელიც დაისვა... ჯერ ერთი, ამ განხილვას უნდა ესწრებოდეს ყველა დაინტერესებული პირი, ვისაც საქმე აქვს სამხედრო სფეროსთან, იქნება ეს მაშველთა კორპუსის ხელმძღვანელი, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელი, აღბათ, სამხედროები, იგივე გვარდია იქნება თუ სხვა სფეროსი, ბატონი ნოდარიც უნდა ესწრებოდეს და დახურული უნდა იყოს აუცილებლად. გაძლევთ გარანტიას, რომ როგორი ინტერპრეტაციაც არ უნდა მივცეთ ამ დოკუმენტს, მისი ინტერპრეტაცია იქნება სხვადასხვანაირი, არა მგონია, სასიკეთო იყოს სტაბილიზაციისათვის, რომლის შესახებაც ამდენს ვლაპარაკობთ ყველანი, იგივე ერთობისათვის, იგივე ომისათვის. აქ მრავალი ქვეყნის მაგალითების მოყვანა ცოტა უხერხულია ხოლმე, განსაკუთრებით, ისეთ ფონზე, როცა სხვა საკითხებში იგივე ხალხი... ფრაქციები ამბობენ, ხოლმე, რომ ჩვენ ჩვენი სპეციფიკა გვაქვს. ეს საქართველოა, იქ როგორ არის მოწყობილი, ამერიკაში და გერმანიაში, ეს ჩვენი საქმე არ არის. ხშირად მოგვისმენია ყველას, [illegible] მართალია, ამჯერად ამ აზრს უნდა დავეთანხმო. არის ელემენტარულად, სახელმწიფო სმეთაური, არის უმაღლესი მთავარსარდალი, თავდაცვის მინისტრი, არის მთავარსარდალი.ფუნქციონალურად ის უზრუნველყოფს ყველაფერ იმას, რაც აქ არის ჩამოთვლილი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კიდევ ბევრ სხვა რამესაც. ამის დაცვის დრო არ არის. რაღაც ფაქტი დაასახელა ბატონმა გიორგი ბარამიძემ. მე ამ ფაქტის შესახებ არაფერი ვიცი. ან ბოლომდე უნდა ითქვას, ან საერთოდ არ უნდა ითქვას. თუ ბოლომდე სათქმელია, უსათუოდ დახურულ სხდომაზე უნდა ითქვას. უნდა ითქვას ყველა იმის თანდასწრებით, ვინც მონაწილეობდა ამაში. თუ ამ კონკრეტული მაგალითის განზოგადოებაზე გადავალთ, დე, განვაზოგადოთ და მივყვეთ ბოლომდე, რა ხდება ჩვენს სამხედრო სფეროში. მე მაშინ დავსვამდი თავდაცვის საბჭოს ფუნქციონირების საკითხს, რომელიც იდუმალებით არის მოცული, არც განსაზღვრულია, არც შემადგენლობა არის ცნობილი, ყველაფერზე ხომ უნდა ვიმსჯელოთ, არა. ერთი რამ მინდა, ნაჩქარევი არ გამოგვივიდეს და ისეთი ნაბიჯი არ გადავდგათ, რომ ამან არ შეუწყოს ხელი ჩვენი ქვეყნის სასიკეთო წინსვლას. რაღაცა ძვრები მაინც არის. ძნელად და რთულად მიდის ეს ყველაფერი. შეიძლება რაღაც ფონდს გავიდეთ და, თუ ეიფორიაა ან, პირიქით, რაღაცის შიშია, არ ვიცი, მოდით, ვიხელმძღვანელოთ იმის ინტერესებით, რომ მშვიდად და წყნარად დავალაგოთ ეს ქვეყანა. გავითვალისწინოთ, როცა საჭიროა, მისი დღევანდელობა, მისი სპეციფიკური თვისებები, გავითვალისწინოთ სხვა ქვეყნების გამოცდილება, თუნდაც სახელმწიფო სტრუქტურების მოწყობაში. ნორმალურ ქვეყნებში, სადაც თავდაცვის მინისტრები ქალებიც არიან, ხელისფლების გაყოფის პრინციპიც არსებობს, იმიტომ არის ასე იქ თავდაცვის სამინისტროს ფუნქცია, ყველაფერი ურთიერთდაკავშირებულია. ასე არ ხდება, რაც მოგვწონს, ამოვიღოთ, და რაც არ მოგვწონს, არ მივიღოთ, ასე არ გამოვა საქმე, როგორც გვინდა, ვჭრათ და ვკერთ. ამით სიკეთეს ვერ მოვუტანთ ქვეყანას. ჩემი წინადადებაა, დღეს ნუ ვიჩქარებთ, ამ საკითხის განხილვას დაესწროს ყველა დაინტერესებული პირი, იყოს დახურული სხდომა და მივუძღვნათ სხდომა ამ საკითხს.

<u>თავმჯდომარე.</u> მეშვიდე, მეორე მიკროფონები.

<u>ა.ბერიძე.</u> მე ვუერთდები იმ დეპუტატების აზრს, რომლებიც თვლიან, რომ კანონი, თუ დადგენილების პროექტი სარგებლობას მოუტანს ჩვენი შეიარაღებული ძალების შექმნისა და განმტკიცების საკითხს. მე ვეთანხმები ბატონ მამუკა გიორგაძეს, რომელიც აღნიშნავს, რომ ეს საკითხი ჩვენს პარლამენტში, სახელმწიფო საბჭოში განიხილებოდა. გარკვეული აზრები იყო მაშინაც და იმის თქმა, რომ ეს ნაჩქარევი ან ცალმხრივია, არ შეიძლება, თუ დამატება და შესწორებები აუცილებელია, მე ვთვლი, რომ აუცილებლად, ალბათ ჩვენ ... უნდა დაემატოს რამდენიმე პუნქტი შეიარაღებულ ძალებში ... მუშაობის შესახებ. შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობას განსაზღვრავს საბრძოლო და პოლიტიკური, ან მორალური მომზადება. აქ მორალურ მომზადებაზე არაფერი არ არის. საერთოდ, ჩვენი შეიარაღებული ძალების აპარატი ძალიან ცალმხრივია და ძალიან ცოტა კეთდება ამ მხრივ. ეს ჩავარდნები, რაც გვაქვს, ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ის არის, რომ მორალური წრთობა ჩვენი ჯარისკაცებისა ... ითქმის არ არსებობს. ამიტომ ვე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანხმები ბატონ ასათიანს, რომ აჩქარება არ არის საჭირო, დავუმატოთ, მაგრამ არ უარვყოთ ისე, როგორც ზოგიერთმა თქვა, დადგენილების პროექტი, როგორც შეუსაბამო...დავუმატოთ, გავაუმჯობესოთ, შეიძლება, 10 დღე გვეყოს იმისათვის, რომ სრულვყოთ, და არა სხდომის წინ მივიღოთ ეს პროექტი. ჩვენ ხეირიანად წაკითხვაც ვერ მოვასწარით. ვიმუშაოთ რამდენიმე დღე. შევქმნათ სერიოზული დოკუმენტი, რომელიც გააუმჯობესებს ჩვენი შეიარაღებული ძალების ბრძოლისუნარიანობას.

თავმჯდომარე. მეორე, მეოთხე მიკროფონები. მინდა გენერალ პანტელეიმონ გიორგაძეს ვთხოვო, რაღაც შენიშვნები მასაც აქვს.შეიძლება ამ დოკუმენტის ისე სრულყოფა, რომ ყველასათვის მისაღები სახე ჰქონდეს, ქალბატონო რუსუდან.

რ.ბერიძე. მე მინდა დავეთანხმო ბატონ აკაკი ასათიანს, რომ ეს საკითხი გადავდოთ სამშაბათისთვის ან ხუთშაბათისთვის და პოზიცია მინდა გავამაგრო იმით, რომ შესვენებაზე ვესაუბრე რამდენიმე სამხედრო ექსპერტს, რომელთაც აღნიშნეს, რომ დადგენილება დახვეწას საჭიროებს, არსებულ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანას საჭიროებს და ამიტომ წინადადება მექნებოდა, გადავდოთ ამ საკითხის განხილვა, თუ პარლამენტი მხარს დაუჭერს.

მ.ურიდია. თავისთავად, ამ ტიპის დადგენილება რომ საჭირო იყო ჩვენთვის დ[illegible]ბიექტური მიზეზებით არის გამოწვეული, ეს ცხადია, დღევანდელი მდგომარეობა გვკარნახობს ამ ტიპის დადგენილების გაკეთებას. მეორეს მხრივ, ცხადია, რომ დადგენილებაში (თუმცა, მე, შეიძლება, ბოდიში უნდა მოგიხადოთ, მეც ამ კომისიის წევრი ვარ და მის შემუშავებაში მონაწილეობა არ მიმიღია, სამწუხაროდ) ხარვეზებია. უფრო მეტიც, იმ ტიპის ხარვეზებიც არის, რომ შემდის ძალიან სერიოზული თანამდებობები. მაგალითად, უმაღლესი მთავარსარდლის პირველი მოადგილე. ეს თუ არ იქნება რეგლამენტირებული კანონით სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, ისეთი პოსტია,რომელიც რაღაცნაირად რეგლამენტირებული უნდა იყოს, ვინ ნიშნავს, როგორ ირჩევა,რა უფლებები აქვს, უნდა იყოს გარკვეული ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ვეთანხმები ბატონ აკაკი ასათიანს. იქნებ ერთი დახურული სხდომა მივუძღვნათ ამ ტიპის კანონის განხილვას.

თავმჯდომარე. მეოთხე მიკროფონი.

დ.კუპრეიშვილი. ბატონებო, მინდა თქვენი ყურადღება მივაპყრო მხოლოდ იურიდიულ მხარეს. ამ დადგენილებას აქვს კანონის განმარტების სახე. სინამდვილეში ეს არ არის კანონის განმარტება. ეს არის ცვლილებების შეტანა თავდაცვის შესახებ კანონში. უნდა იყოს სწორად ჩამოყალიბებული... მთელი რიგი უმაღლესი თანამდებობები იქმნება ამ დადგენილებით, სტრუქტურა იცვლება მთლიანად ჩვენი შეიარაღებული ძალების ხელმძღვანელობის.ამიტომ ამას ცვლილებების სახე თავდაცვის კანონში.... მეორე. წარმოიშვა საკითხი თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს შესახებ. დავას არ უნდა იწვევდეს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ეს არის გაუგებრობა, რომ გასული წლის 6 ნოემბრიდან არსებობს თავდაცვისა და უშიშროების საბჭო და დღემდე კანონი არა გვაქვს მიღებული. სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ კანონში, მის 31-ე მუხლში წერია, რომ, ვიდრე არ იქნება მიღებული კანონი თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს შესახებ, მანამ მისი საქმიანობის წესს, და შემადგენლობას სახელმწიფოს მეთაური.... მაგრამ უკვე გადის ნახევარი წელიწადი, დადგა დრო, კატეგორიულად დაისვას საკითხი ამ კანონის წარმოდგენის შესახებ პარლამენტში. ვინაიდან ჩვენ, მართლწესრიგისა და უშიშროების კომისიას, გვაქვს ინფორმაცია, მასალები იმის შესახებ, რომ თავდაცვისა და უშიშროების საბჭო თავისი დადგენილებით იღებს ცვლილებებს კანონებში, რაც ყოვლად დაუშვებელია, ეს ორი საკითხი უნდა გადაიჭრას დაუყოვნებლივ. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე.</u> მეშვიდე მიკროფონი. ბატონო პანტელეიმონ, თქვენ არ იტყოდით ორიოდ სიტყვას? ჯერ ბატონი ჭაბუა და...

<u>ჭ.ამირეჯიბი.</u> მე მგონია, რომ ასეთი კანონპროექტების დასამტკიცებლად გამოტანას უნდა წინ უძღოდეს ძალიან ღრმა და ყოველმხრივი მოსამზადებელი მუშაობა. უნდა ამომწურავი ინფორმაცია ჰქონდეს ვითარების შესახებ პარლამენტს, პარლამენტის თავმჯდომარე, სპიკერებს და მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მსჯელობა, ვარგა ეს კანონი თუ არ ვარგა. მე ვლაპარაკობ ვითარებაზე, რომელიც სადღეისოდ არის შექმნილი. შეიძლება, მართლაც დაშავდეს იმით, რომ ავჩარდეთ, მაგრამ, თუ ასეთი ინფორმაცია არის, საჭირო ინფორმაცია, მაშინ, ალბათ, განხილვაც შეიძლება. ე.ი., ჩემი გამოსვლის მიზანი რა არის, მივიღოთ პასუხი, გვაქვს თუ არა სრული ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ხდება დღეს საქართველოში, საქართველოს არმიაში, როგორი დამოკიდებულება ვითარდება ადამიანებსა, ორგანოებსა და დაწესებულებებს შორის და ა.შ. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე.</u> ბატონო პანტელეიმონ.

<u>პ.გიორგაძე.</u> ბატონებო, რაც სათქმელი იყო ამ კანონზე, მე მგონი, ყველაფერი ითქვა. დახურული რომ იყოს და ტელევიზიით არ აჩვენებდნენ, ბევრ რამეს გეტყოდით, ალბათ, გამოადგებოდა ეს პარლამენტს, მაგრამ...

<u>თავმჯდომარე.</u> ახლა დავხუროთ? არა, ახლა ყველა გრძნობთ, სად უნდა გაჩერდეთ და რა არ უნდა თქვათ.

<u>პ.გიორგაძე.</u> ახლა კი გეტყვით, რომ ეს პროექტი, ეწინააღმდეგება უკვე ჩვენს მიერ მიღებულ კანონს თავდაცვის შესახებ. აქ შეცვლილია ის კანონი და ის სტრუქტურა, ის სქემა, დოქტრინა, რომელიც თქვენ მიღებული გქონდათ. აქ სულ სხვა ფუნქცია აქვს სამინისტროს. იქმნება ახალი ორგანო, როგორც გენერალური შტაბი. ე.ი., საჭიროა, ექსპერტებმა შეისწავლონ და სხვა დროს განვიხილოთ. დღეს ამის განხილვის საშუალება არ არის. არც

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთ სამხედროს არ წაუვითხავს ეს კანონი, სხვათა შორის, არც თავდაცვის სამინისტროში. დიდი მადლობა.

თავმჯდომარე. ახლა ბატონ ედუარდს მოვუსმინოთ.

ე.შევარდნაძე. მე ვფიქრობ, რომ პარლამენტი ამ საკითხის განხილვისათვის მზად არ არის. ეს ბუნებრივია. მეც პირველად წავიკითხე და თქვენც პირველად ნახეთ. არის თუ არა საერთოდ საჭირო მსჯელობა ამ საკითხზე. რა თქმა უნდა, არის, მაგრამ სათანადო მომზადების შემდეგ. პირველ რიგში, ალბათ, აზრი უნდა ვკითხოთ სამხედრო ექსპერტებს, იმ ხალხს, ვინც ახლა რეალურად მსახურობს არმიაში, რომელთაც გამოცდილება გააჩნიათ, და მე ვიცი, რომ მათ ძალიან სერიოზული შენიშვნები აქვთ. სწორედ იმ ხალხს, რომელიც ფრონტზე იბრძოდა, იბრძვის და რომელსაც მიაჩნია, რომ დღევანდელი სტრუქტურა არ არის სრულყოფილი. ვიმეორებ, ასეთ განხილვას წინ უნდა უძღოდეს მათთან საუბარი და მათი აზრის გათვალისწინება. ეს არის კომისიის ინიციატივა და ამისთვის ვერავის დავძრახავთ, რადგან თავისთავად, ასეთი პრობლემა არსებობს, ალბათ, განხილვა და საკითხისადმი მიდგომა ცოტა სხვანაირი უნდა იყოს. მისაღები არის ან კანონი, ან დებულება დასამტკიცებელი ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს შესახებ. რამდენიც არ უნდა ჩამოთვალოთ რეგალიები, ვის რა თანამდებობა უკავია და სხვა, არავინ ოცნებობს, რომ კიდევ რაღაც ერთი მიემატოს ამას. ეს არავის სჭირდება. შეიძლებოდა, საერთოდ არ ყოფილიყო ეს თავდაცვისა და უშიშროების საბჭო, რადგანაც არის სახელმწიფოს მეთაურის ინსტიტუტი, შეიარაღებულ ძალთა მთავარსარდლისა და ერთპიროვნულად ვისაც ენდო პარლამენტი, შეასრულოს ეს ფუნქცია, მას შეუძლია ისე მართოს, რომ არავითარი საბჭო არ მოიწვიოს. მაგრამ არის აზრიც, რომ უშიშროების საბჭოც აღარ არის საჭირო, მე, პირადად, ჩავთვალე, რომ არ იქნებოდა ცუდი, შეგვექმნა ისეთი ორგანო ეროვნული უშიშროებისა და თავდაცვის საბჭოს სახით, რომელიც მარტო სამხედრო საკითხებით არ იქნება დაკავებული. რადგანაც არ არსებობს ცალკე აღებული მარტო სამხედრო საკითხები, სამხედრო ოპერაციები, ან მარტო არმიის შექმნა. აქ არის კონცენტრირებული მთელი კომპლექსი პრობლემებისა, საკითხები, დაკავშირებული ფინანსირებასთან. დღეს რომელი ჩვენგანი ანგარიშობს, რა ჯდება არმიის შენახვა, ვინ ანგარიშობს, საიდან მოგვაქვს იარაღი, საბრძოლო მასალები, ჩასაცმელი და ა.შ. ეს იყო ცდა, თავდაცვის საბჭოს შექმნისა, გარკვეულიყავით ამ საკითხებში და ეს პრობლემები სახელმწიფოებრივ საფუძველზე დაგვეყენებინა. დებულება შემუშავებულია, სამჯერ შემუშავდა ეს დებულება, სამჯერვე, მე პირადად, უკან დავაბრუნე, გავიდა ექვსი თვე, შეიძლება კიდევ გავიდეს ერთი თვე, ან ორი თვე, იმიტომ, რომ არსებობს... პრაქტიკა არ არის. ეს პრაქტიკა თანდათანობით გროვდება, თვით ამ საბჭოშიც არიან წევრები, რომლებიც თვლიან, რომ იქნებ არ არის საჭირო, მაგრამ სხვები თვლიან, რომ ეს ძალიან კარგია. როცა ვიკრიბებით და ყურადღება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კონცენტრირებულია ერთ დიდ პრობლემაზე, რომელიც გადახლართულია ფინანსებთან, სახალხო მეურნეობასთან და ა.შ. ცოტა დრო არის საჭირო, რომ ეს დებულება ან კანონი მიეცეს. ასეთი ინსტიტუტი თითქმის ყველა ქვეყანაში არსებობს. მე არ ვამბობ, რომ ჩვენ შეგვიძლია აშშ უშიშროების საბჭოს კოპირება და გადმოღება, მაგრამ ზოგიერთი გამოცდილება, რომელიც დაგროვილია ამ ქვეყანაში, საინტერესოა. ეს ცვლილებები, რომლებსაც გეთავაზობენ, და ზოგიერთი რამ ანგარიშგასაწევია, შეიძლება, ამ დებულებასთან ერთად ყოფილიყო განხილული. წარმოვიდგინოთ, არის თუ არა საჭირო უშიშროების საბჭო? თუ არის საჭირო, მაშინ დებულება დავამტკიცოთ და ეს ცვლილებებიც მაშინ შეიძლება ერთ კომპლექსში განვიხილოთ. რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი უნდა იყოს დახურულ სხდომაზე. თუ ჩვენ შევქმნით თავდაცვისა და ეროვნული უშიშროების საბჭოს, ეს უნდა იყოს ქმედითი ორგანო, რომელიც ომიანობის პირობებში, პარლამენტის გარდა, პრაქტიკულად უმაღლესი ორგანოა, რომლის განკარგულებებს ასრულებს ყველა. ის, რაც ითქვა, რომ ამ საბჭოს შეაქვს ცვლილებები კანონებში, ეს სწორი არ არის. ასეთი რამ არ გაკეთებულა, არავითარი ცვლილება კანონში არ შეუტანია საბჭოს, დადგენილებები კი გამოაქვს. ჯერჯერობით, რაც გააკეთა ამ საბჭომ, ყველაფერი საჭირო და სასარგებლოა. მე ასე მესმის და, თუ საკამათოა, ვიმსჯელოთ და ვიკამათოთ. სამუშაო წინ გვაქვს, ვიმეორებ, შეიძლებოდა ამ საბჭოს გარეშეც მუშაობა, მაგრამ მაშინ ხაზგასმული იქნებოდა სწორედ ერთი პიროვნების როლი და ერთი პიროვნების განსაკუთრებული უფლებები და მდგომარეობა. თავის დროზე, როცა ეს საკითხი იდგა, ბევრი ჩვენგანი ამან გარკვეულად შეაშფოთა. თავისთავად, ისეთი ფორმა რომ მოვნახოთ, რომ იყოს პერსონალური პასუხისმგებლობაც სახელმწიფოს მეთაურისა და მთავარსარდლის, ამავე დროს მასთან ერთად ფუნქციონირებდეს უფლებებით აღჭურვილი ორგანო, ერთ-ერთი უმაღლესი ორგანო, ვფიქრობ, ეს ზედმეტი არ იქნებოდა.

კიდევ ერთი მოსაზრება. ვფიქრობ, მთლად გამართლებული არ არის, რომ თავდაცვის მინისტრის გარეშე და სამხედროების გარეშე ვმსჯელობთ ამ საკითხზე. ასეთ სხდომას, რომელმაც უნდა განიხილოს კარდინალური საკითხები სამხედრო მშენებლობისა, თავდაცვის მინისტრიც უნდა ესწრებოდეს, მინისტრის მოადგილეებიც. უკვე არის კორპუსები, ამ კორპუსებს თავიანთი მეთაურები ჰყავთ, მათ შორის სწრაფი რეაგირების კორპუსი, რომელსაც გია ყარყარაშვილი მეთაურობს, მეორე კორპუსი, რომელიც ახლა იბრძვის აფხაზეთში - გენერალი დათუაშვილი. ბრიგადები გაჩნდა უკვე, მათ მეთაურები ჰყავთ, გენერლები არიან, გამოცდილება დაგროვეს, აღბათ, ისინიც უნდა იყვნენ. მათ გარდა არიან შესაბამისი სამსახურების მეთაურები, სასაზღვრო ჯარი, შინაგანი ჯარი და სხვ. საკითხი რომ ასე დაისვა, დროულია, კომისიას და მის თავმჯდომარეს მადლობა უნდა ვუთხრათ, მაგრამ პარლამენტი დღეს განხილვისათვის მზად არ არის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონიერია და დაკანონებული არ არის, ეს არასწორია. ეს არის კანონიერი, საჭირო ორგანო, შემდგომში, აღბათ, მისი სამართლებრივი რეგლამენტაცია კიდევ უფრო დაიხვეწება. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ახლა განცხადებისათვის... შემდეგ გავაგრძელოთ კამათი. გუშინ კოლეგიამ აღუთქვა რესპუბლიკელებს, რომ მისცემდა 5-წუთიანი განცხადების უფლებას. ბატონ ივლიანეს ვთხოვ.

ი.ხაინდრავა. პატივცემულო პარლამენტარებო, გუშინ ჩვენ მართლაც ვითხოვეთ კოლეგიაზე უფლება, რომ დღეს გაგვეკეთებინა განცხადება. იმ საუბარმა, რომელიც აქ წამოიწყეს კიდევ დაგვარწმუნა, რომ ასეთი განცხადება უნდა გაკეთდეს. ის საკითხი, რომელზედაც ჩვენ ვსაუბრობთ, ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი, მაგრამ კერძო საკითხია იმ სიტუაციისა, რომელიც მთიანად არსებობს ქვეყანაში, ხელისუფლებაში და უბრალოდ, სამხედრო უწყებაში ეს განსაკუთრებით თვალნათლივ ჩანს, ვინაიდან არსებითად ომის დმდგომარეობაში ვიმყოფებით. მაგრამ ვიყოთ გულწრფელები, აღბათ, ყველანი შევთანხმდებით, არც სხვა უწყებებში არის უკეთესი მდგომარეობა. მთლიანად აღმასრულებელ ხელისუფლებაშიც, რომ გადავავლოთ თვალი მის სტრუქტურას და სისტემას, დავინახავთ, რომ იქაც არსებობს კაბინეტის პრეზიდიუმი, არსებობს ეკონომიკური რეფორმების შტაბი, არ ვიცი, რამდენად თანხვედრილი არის მათი მოქმედება. ცხოვრების რა სფეროსაც უნდა შევეხოთ ჩვენ, კმაყოფილების გრძნობა არსებული მდგომარეობით არ უნდა გვქონდეს. დღევანდელმა განხილვამაც და იმ მოტივებმაც, რომლებმაც გაიჟღერა, კიდევ ერთი მიმანიშნებელია იმისა, რომ მდგომარეობა სახარბიელო არ არის. ამ მცირე შესავლის შემდეგ წავიკითხავ ფრაქცია "რესპუბლიკელების" განცხადებას, რომელსაც, ცხადია, იზიარებს "რესპუბლიკური პარტიაც". აღბათ, ეს საკითხიც უნდა გახდეს განსჯის საგანი. აი, ეს ტექსტი: "ნახევარი წელიწადი გავიდა II ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ და ერთ წელზე მეტი, რაც საქართველოში ჩამოყალიბდა სამოქალაქო ხელისუფლება სახელმწიფო საბჭოს სახით. მიგვაჩნია, რომ ამ დროის განმავლობაში, გარკვეული მონაპოვრების მიუხედავად, გარდატეხა უკეთესობისაკენ ქვეყნის მდგომარეობაში არ მომხდარა. გაჩნდა შეიარაღებული კონფლიქტის ახალი კერა - აფხაზეთი, სადაც მთელი სიცხადით ვლინდება რუსეთის იმპერიალისტური აგრესიული პოლიტიკა საქართველოს მიმართ. ფაქტიურად, არ ვრცელდება სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების იურიდისქცია არა მხოლოდ აფხაზეთის, არამედ შიდა ქართლის მნიშვნელოვან ნაწილზე, სამეგრელოს რიგ რაიონში. გარეგნული სიმშვიდის მიუხედავად, არსებითად ასეთივეა მდგომარეობა ქვეყნის ზოგიერთ სხვა რეგიონში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

[illegible] ... ბ. ... ბ. ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებლო აქტების შემუშავება და მიღება.

ასე გაგრძელება დაუშვებელია. ქვეყანა დგას სრული ეკონომიკური კატასტროფისა და დეზინტეგრაციის რეალური საფრთხის წინაშე. მდგომარეობა მოითხოვს საპასუხისმგებლო, თამამ გადაწყვეტილებებსა და არაორდინალურ ნაბიჯებს, უპირველეს ყოვლისა, სახელმწიფოს მეთაურისა და პარლამენტის მხრიდან. ცენტრალური ხელისუფლება საქართველოში უნდა გახდეს ერთიანი, მობილური და ქმედითუნარიანი.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე აუცილებლად მიგვაჩნია: I. სრული შემადგენლობით გადადგეს მინისტრთა კაბინეტი. სახელმწიფოს მეთაურმა წარუდგინოს პარლამენტს დასამტკიცებლად კაბინეტურ პრინციპზე დაფუძნებული მთავრობის წევრთა სია, რომელთაც თავად და უშუალოდ უხელმძღვანელებს.

2. შეჩერდეს ეროვნული თავდაცვისა და უშიშროების საბჭოს საქმიანობა, ხოლო მისი ფუნქციები განახორციელოს რეორგანიზებულმა მინისტრთა კაბინეტმა. საჭიროების შემთხვევაში საბჭოს საქმიანობის განახლება მოხდეს მხოლოდ პარლამენტის მიერ მიღებული შესაბამისი კანონის საფუძველზე.

3. პარლამენტმა სახელმწიფოს მეთაურთან შეთანხმებით შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა პრიორიტეტების მიხედვით და ნახევარი წლის ვადით შემოიფარგლოს მხოლოდ საკანონმდებლო საქმიანობითა და კონსტიტუციის ახალი რედაქციის მომზადებით. გმადლობთ.

<u>თავმჯდომარე.</u> ეს... სიფრთხილე გამოვიჩინეთ გუშინ, კოლეგიაზე. არარეალურ მოცულობას როცა ვთავაზობთ პარლამენტს,... დღეს შეგვეძლო ორი-სამი კანონის დამტკიცება. გაგაცნობთ საკითხებს, რომლებმაც გადაინაცვლეს სამშაბათისთვის...

არავინ გიკრძალავთ თქვენი აზრის გამოთქმას. მეორე მიკროფონი.

<u>გ.ბარამიძე.</u> ბატონო სპიკერო, პატივცემულო დეპუტატებო, ეს მეტად მნიშვნელოვანი განცხადება იყო, თუ ამას დღეს მოყვება დებატები, ეს იქნება გაუაზრებელი და მოუფიქრებელი. ამიტომ, თუ დღის წესრიგში სხვა არაფერი გვაქვს, სხდომა დავამთავროთ და ფრაქციებს მიეცეს საშუალება, იფიქრონ ამ საკითხებთან დაკავშირებით.

<u>თავმჯდომარე.</u> გულახდილად გეტყვით. გუშინ კოლეგიამ ერთსულოვნად დაუჭირა მხარი დღეს დედამიწის საერთაშორისო დღისათვის 5 საათზე წასვლას. ამიტომ ცოტა შევკრიჭეთ დღეს რეგლამენტი. მეორე, მესამე მიკროფონები.

<u>თ.ურჯოლიანი.</u> რესპუბლიკური პარტიის მიერ წარმოდგენილი განცხადება ფრიად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია. მთელი რიგი დეპუტატები, პარტიები, ფრაქციები, დაახლოებით იზიარებენ იმ პოზიციას, რომელიც რესპუბლიკელების მიერ იქნა გამოთქმული. არ ვფიქრობ, რომ ამაზე უნდა იყოს დებატები, სერიოზული საკითხია, იქნებ ერთ-ერთი დახურული სხდომა, როგორც წინა საკითხზე, მივუძღვნათ ამ საკითხების გადაწყვეტას და კონკრეტული გადაწყვეტილებები მივიღოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. [illegible]
მ.კვანჭილაშვილ[illegible]
გამოსული დეპუტატების
ამას ხაზი უნდა გ[illegible]
ციებს და ამ საკით[illegible]
ბაასი.

თავმჯდომარე. მეო[illegible]
ლ.მესხი. ბატონო ვ[illegible]
დეპუტატებმა თითქმის თქვ[illegible]
პირადად, მე ამ განცხადებ[illegible]
თქვენ, ბატონო ვახტანგ, [illegible]
უნდა იქცეს მსჯელობის [illegible]
ხება დადგენილების ამ პროე[illegible]
და უშიშროების საბჭოს, კომი[illegible]
მიღება დღესაც შეიძლებოდ[illegible]
ჩვენს თავზე, მხედველობაშ[illegible]
განისაზღვროს დღე, როდესა[illegible]
საკითხი დახანებას არ საჭ[illegible]

თავმჯდომარე. მეოთხე
გ.ხავთასი. ძირითადში[illegible]
ოლონდ ერთი მომენტი მინდა შ[illegible]
ვიღებთ მონაწილეობას ამ საკ[illegible]
მასრულებელი ხელისუფლების ყვ[illegible]
კვ[illegible] გამოიწვია ეს ყველ[illegible]
მებ[illegible] საკადრო საკითხებში, რა [illegible]
დავიწყოთ ძირიდან, ავიდეთ თავ[illegible]
ოთ, ერთმანეთში მაინც, პარლამენ[illegible]
რა ხდება. იქნებ, საკადრო შეცდო[illegible]
დღეს ბატონმა ნოდარმა თქვა, რომ
გებ[illegible] იქნა, პასუხისმგებლობას [illegible]
უნდ[illegible]ლხმა, ვინ[illegible]
რაღაც ლონისძ[illegible] გატარებას და
პლექსურად მივუდგებით ამ საკითხს,
ცია საქართველოში, ამ შემთხვევაში მი[illegible]
ნება მცდელობა რომელიმე რგოლის გაწირ[illegible]
არ მივიღებთ.

თავმჯდომარე. მეშვიდე მიკროფონი[illegible]
ნ.ნადარაია, ბატონებო, ფრაქცია "[illegible]
ცავს პრინციპულ საკითხებს, ამიტომ შემო[illegible]
დაურიგდეს პარტიებს, ბლოკებს, ფრაქციებ[illegible]

მეხუთე მიკროფონები.
[illegible]რტია-9I". მეც მინდა დავეთანხმო ჩემს წინ
[illegible], ძალიან მნიშვნელოვანი განცხადება გაკეთდა,
[illegible]რ საკითხში "ქარტია-9I" ეთანხმება ამ პოზი-
[illegible]ავშირებით უნდა გაიმართოს სერიოზული სჯა-

[illegible]ეხუთე მიკროფონები.
[illegible], ბატონო დეპუტატებო, ჩემს წინ გამოსულმა
[illegible]ი სათქმელი. განცხადება მეტად სერიოზულია.
[illegible]ს და პათოსს ვეთანხმები და მოგიწოდებთ
[illegible]ნ სახელმწიფოს მეთაურს, რომ ეს საკითხი
[illegible] რაც შეიძლება მალე. და მეორე, რაც შეე-
[illegible]ომელიც წარმოდგენილი იყო თავდაცვისა
[illegible]მიერ, მიმაჩნია, რომ ამ დადგენილების
[illegible], რადგან ვერ ვიღებთ პასუხისმგებლობას
[illegible] პარლამენტი, ამიტომ მოვითხოვ, რომ
[illegible] ამ საკითხზე მსჯელობა, რადგან ეს
[illegible]ი.
[illegible]ით რესპუბლიკელების განცხადებას,
[illegible] ჩვენ მხოლოდ იმ შემთხვევაში მი-
[illegible]ღებაში, თუ დადგება საკითხი აღ-
[illegible]ს პასუხისმ[illegible]ლობისა. უნდა გავარ-
[illegible]ატომ მოხდა თავიდან [illegible]ელა შეცდო-
[illegible]ს აღმასრულებელ ხელისუფლებაში.
[illegible]პი[illegible]ქით, და ასევე [illegible]და გავარკვი-
[illegible]ავლესობის კურსი. [illegible]ალბათ,
[illegible]ლამენტის უმრავლ[illegible]ის კურსია.
[illegible]ასახ[illegible] ვიქნებ[illegible], თუ ომი წა-
[illegible]არავინ [illegible]ციელ[illegible] [illegible]ერამ რატომ
[illegible] ამ 6 თვის მანძილ[illegible] [illegible]ითხოვდ[illegible]
[illegible]ისძიებები არ გატ[illegible]და. თუ კომ-
[illegible]ებით, რომ გამოს[illegible]ედეს სიტუა-
[illegible] მონაწილეობას [illegible], თუ ეს იქ-
[illegible]ჩვენ ამ თამაშშ[illegible]ონაწილეობას

[illegible]ბლიკელების" [illegible]ბა მოი-
[illegible]ერ წინადადებ[illegible]ს განცხადება
[illegible]ა შეჯერდეს [illegible]ული პრინ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციპული მუხლი და მათი განხილვა მოხდეს მინისტრთა კაბინეტის სრული შემადგენლობის თანდასწრებით. მივცეთ საშუალება მინისტრთა კაბინეტს განგვიმარტოს ის ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები, რატომ არის ქვეყანაში ასეთი მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მეხუთე მიკროფონი.

ნ.ნათაძე. მე ბოდიში უნდა მოვიხადო იმის გამო, რომ ვმსჯელობ განცხადებაზე, რომლის ტექსტი არ მომისმენია, საქმეზე გახლდით და გვიან შემოვედი. მაგრამ... ამიტომ ვერ ვიმსჯელებ განცხადების ტონალობაზე და დეტალებზე, მაგრამ ზოგადად უნდა დავუჭირო მხარი შემდეგი მოსაზრების გამო, ჯერ ერთი, ჩვენ აქამდე არ მოგვისმენია მთავრობის ანგარიში, რაც სრულიად მიუღებელი ვითარებაა. მეორე, იმ რთულ და აწეწილ სიტუაციაში, რომელშიც დღეს საქართველოა, და მოვლენათა განვითარების ისეთი სწრაფი ტემპის პირობებში, რომელიც დღეს გვაქვს, მიმაჩნია, რომ ჩვენ მთავრობის ანგარიშს უნდა ვისმენდეთ არა ყოველწლიურად, არამედ 2-3 თვეში ერთხელ მაინც. ამიტომ, მინდა დავეთანხმო განცხადებებს იმაში, რომ დაუყოვნებლივ უნდა მოვისმინოთ მთავრობის ანგარიში და შევაფასოთ მისი მუშაობის ყველა ასპექტი. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მეოთხე, მეორე მიკროფონები.

გ.კობახიძე. აქ საუბარი იყო საკადრო პოლიტიკის ნაკლოვანებებზე და საპარლამენტო უმრავლესობის როლზე ამ პოლიტიკაში. როდესაც იქმნებოდა ეს საკადრო პოლიტიკა, კერძოდ, მინისტრთა კაბინეტი როცა ყალიბდებოდა, არ იყო გამიჯნული უმრავლესობა უმცირესობისაგან, და მეორეც, დღეს უმრავლესობას ვინც წარმოადგენს, ეს ტრიუმვირატის გარშემო, ე.ი., ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქციის, ლიბერალების და მწვანეთა გარშემო შეიკრიბა ეს უმრავლესობა და... ჩვენზე ვიტყვი, ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ თავისი პოზიცია პრემიერ-მინისტრის არჩევის დროს უკვე გამოხატა. ჩვენ ასეთი კრიზისი უკვე იმ დროს ვივარაუდეთ. ასე რომ, პასუხისმგებლობას როცა ვანაწილებთ, გავიხსენოთ ეს ფაქტები და მე მგონი, არ ღირს ამაზე ლაპარაკი და ჩვენი მაშინდელი პოზიცია დღესაც ძალაშია.

თავმჯდომარე. მეორე მიკროფონი.

ღ.მამალაძე. მინდა ჩემს წინ გამოსულს დავეთანხმო. მან განმარტა, როგორც იყო მდგომარეობა. ასევე მინდა დავამატო, რაც ბატონმა ნოდარმა ბრძანა. საშემოდგომო სესიაზე, როცა ჩვენ ვაძლევდით მანდატს მინისტრთა კაბინეტს, იყო ნათქვამი, რომ საგაზაფხულო სესიის დაწყებამდე, მე მგონი, მაისის თვეში, პირველ სხდომაზე უნდა მოვისმინოთ ანგარიში და ჩვენ შევასრულოთ ეს, მოვისმინოთ ანგარიში და ამის მიხედვით განვსაზღვროთ, როგორი პოზიცია დავიკავოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. მეხუთე მიკროფონი.

ლ.შაკიაშვილი. ბატონებო, მინდა მოგახსენოთ, რომ, აღბათ, გახსოვთ და... ყველას უნდა გვახსოვდეს, მაშინ, როდესაც მინისტრთა კაბინეტის დაკომპლექტება ხდებოდა, მაშინ, როცა, სახელმწიფოს ძალიან უჭირდა და სასწრაფოდ ხდებოდა ეს დაკომპლექტება, მე, მაგალითად, შესანიშნავად მახსოვს ბატონ ირაკლი შენგელაიას მაშინდელი გამოსვლა იმის თაობაზე, რომ უახლოეს სამ თვეში მინისტრთა კაბინეტმა უნდა წარმოგვიდგინოს თავისი პროგრამა და მხოლოდ ამ შემთხვევაში გვექნებოდა ნაკლებად კრიტიკული მიდგომა იმ კანდიდატურებისადმი, რომლებითაც ჩვენ დავაკომპლექტეთ მინისტრთა კაბინეტი. 3 თვე კი არა, უკვე 6 თვე გავიდა და არავის არავითარი პროგრამა არ წარმოუდგენია, არც წინსვლაა ქვეყანაში, პირიქით, უკან მივდივართ. აბსოლუტურად ვიზიარებ პათოსს "რესპუბლიკური პარტიის" ამ განცხადებისას და მიმაჩნია, დახანებას აღარ საჭიროებს მისი განხილვა. მინისტრთა კაბინეტმა რაც შეიძლება სწრაფად უნდა მოგვახსენოს ის შედეგები, რა მიზეზითაც ასეთ ეკონომიკურ კრიზისში და ჩიხში ვართ მომწყვდეული. კატეგორიულად მოვითხოვ, ეს საკითხი დიდი ხნით არ გადაიდოს.

ყველას გვახსოვს, რომ სახელმწიფოს მეთაურმა გვთხოვა ბატონ თენგიზ კიტოვანის თაობაზე, რომ ორი-სამი თვე ამ საკითხს ნუ შეეხებითო, ორი-სამი თვე გავიდა, ექვსიც გავიდა, მეშვიდე დაიწყო. ნამდვილად უხერხულია, როდესაც კანონიერი ხელისუფლებაა, კანონიერი უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოა, კანონიერი მინისტრთა კაბინეტია და ომის მდგომარეობაში მყოფი ქვეყნის თავდაცვის მინისტრი დღემდე დაუკანონებელია. ეს და სხვა საკითხები უახლოეს დროში განხილვას საჭიროებს.

თავმჯდომარე. მეშვიდე მიკროფონი.

შ.ურიდია. მე მინდა ბატონ ივლიანეს და "რესპუბლიკურ პარტიას" მადლობა მოვახსენო ამ ძალიან სერიოზული და აქტუალური განცხადებისათვის, რომლის საჭიროება ნამდვილად მომწიფებული იყო დღეს. მეორეს მხრივ, ჩემს გაკვირვებას იწვევს უმრავლესობის და უმცირესობის სრული ერთიანობა ამ საკითხში, რაც აბსოლუტურად პარადოქსულია. რამდენიმეჯერ იყო ეს შეკითხვები დასმული, ბატონმა მიხეილმა კიდეც უპასუხა, რომ უმრავლესობა მთავრობის გარშემო გაერთიანდა და დღევანდელი სიტუაცია, ჩემს გაკვირვებას იწვევს. იმიტომ, რომ ასეთი ერთხმიანობა უმრავლესობისა და უმცირესობისა ამ საკითხებში არ ყოფილა და არ შეიძლება ასე, ქართველები ყველაფერში ყველანაირად გამონაკლისი რომ ვიყოთ. უმრავლესობა რაღაცნაირად პასუხს აგებს მთავრობაზე. გმადლობთ.

თავმჯდომარე. უკაცრავად, ბატონო დეპუტატებო, გთხოვთ... მეხუთე მიკროფონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ.ნათაძე. მაპატიეთ, მაგრამ ტერმინოლოგიური დაზუსტება მინდა. რას ნიშნავს უმრავლესობა და უმცირესობა, ასეთი კლასიფიკაცია ამ პარლამენტში არ ვიცი. რომ იყოს, ვთქვათ, შავგრემანები და ქერები ან მაღლები და დაბლები, მაშინ მესმის. რა ნიშნით აკვალიფიცირებთ თქვენ დეპუტატებს უმრავლესობად და უმცირესობად. როგორ დათვალეთ, ერთი ამიხსენით. (ხმაური დარბაზში).

თავმჯდომარე. მეოთხე, მეორე მიკროფონები.

გ.კობახიძე. ბოდიშს ვიხდი ხელმეორედ გამოსვლისთვის და ნაწილობრივ მინდა დავეთანხმო ბატონ ურიდიას, მაგრამ ნაწილობრივ, პასუხს აგებს ის უმრავლესობა, რომელმაც აიჩრია და რომელმაც ხმა მისცა, ამაზე გეთანხმები, მაგრამ მე ის ავხსენი, რომ ჩვენ არ აგვირჩევია და ეს გამოვხატეთ ხმამაღლა. მე მგონი, ერთადერთი ფრაქცია იყო, რომელმაც ხმამაღლა გამოხატა, რომ...

მთავრობის გარშემო, ტერმინი "მთავრობა" არ არის სწორად გაგებული როდესაც ბატონმა მიხეილ ნანეიშვილმა გააკეთა განცხადება სამი ორგანიზაციის, სამი ფრაქციის სახელით, იქ კარგად იყო ახსნილი, თუ რას გულისხმობდა მთავრობის კურსის მხარდაჭერა. ეს იყო სახელმწიფოს მეთაურის და მისი აპარატის კურსის მხარდაჭერა და მინისტრთა კაბინეტი და მთავრობა ერთი და იგივე არ არის. ამის ახსნა მინდოდა.

თავმჯდომარე. მეორე მიკროფონი და იქნებ....

მ.კვანჭილაშვილი. ბატონო ვახტანგ, მე მინდა დავაზუსტო, რომ ეს ისტორიული სამართლიანობა აღდგეს... მე ვიყავი ის კაცი, ვინც ჰკითხა ბატონ მიხეილ ნანეიშვილს, რას გულისხმობდა მთავრობაში. შეკითხვა იყო ზუსტად ასე ფორმულირებული-ეს ნიშნავს მინისტრთა კაბინეტს. ცოტა მეტს თუ ცოტა ნაკლებს? და პასუხი იყო სრულიად ცხადი. ეს ნიშნავს სახელმწიფოს მეთაურს და მინისტრთა კაბინეტს ერთად.

თავმჯდომარე. გასაგებია. ბატონო ჯაბა. მეხუთე მიკროფონი.

მ.ნანეიშვილი. მე მაპატიეთ, უფრო ადრე უნდა გამოვსულიყავი, ოღონდ ვერ გავიგე, ჩემს რა ნათქვამს გულისხმობდნენ. როგორც იქნა, გავიგე. მე მაშინ მკითხეს, რომ, როდესაც ვლაპარაკობთ "მთავრობას" რას ვგულისხმობ, მე მაშინ ვთქვი, ვგულისხმობ სახელმწიფოს მეთაურს და მის ადმინისტრაციას. ახლა, რადგან ჩემი ეს განმარტება არასაკმარისი აღმოჩნდა, მაშინ მოგახსენებთ, როდესაც ასე განვმარტავთ "მთავრობას", იგულისხმება, რომ ეს ადმინისტრაცია არის სოლიდარული და მისი ამ განსაზღვრებიდან გამომდინარე, შეგვიძლია მთავრობაზე ვილაპარაკოთ მხოლოდ სახელმწიფოს მეთაურთან მიმართებაში. თუ აღმონჩნდა, რომ მთავრობა, როგორც სახელმწიფოს მეთაურის ადმინისტრაცია, არ არის სოლიდარული, მაშინ შეგვიძლია დავაყენოთ, მაგალითად, საკითხი იმის შესახებ, რომ ეს ადმინისტრაცია თავის ფუნქციას არ ასრულებს. მე მგონი, ნათელია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავმჯდომარე. მეშვიდე, მესამე მიკროფონები.

ჯ.იოსელიანი. ბატონებო, მე მინდა... რაღაც, ჩვენი ... წელიწადნახევარია, თუ წელიწადი და რამდენიმე თვეა, ჩვენი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესის ასეთი ევოლუცია წარმოგიდგინოთ, და რატომ, შემდეგ ვიტყვი.

ყველას გახსოვთ, რომ თავიდან იყო სამხედრო საბჭო,შემდეგ,მეორე ეტაპი, სამხედრო საბჭო და საკოორდინაციო საბჭო ერთად. შემდეგ, მესამე ეტაპი, სახელმწიფო საბჭო და პრეზიდიუმი, პრეზიდიუმი ოთხი კაცისაგან, ვეტოს უფლებით. შემდეგ იყო პარლამენტი და სახელმწიფოს მეთაური და სახელმწიფოს მეთაური, როგორც საშუალოდო, ამ გადასვლის ახალი ფორმაცია მაინც სახელმწიფოებრივი, იყო უშიშროების საბჭო,რომელიც დამტკიცებული არ არის. უკანონო კი არ არის, დამტკიცებული არ არის. ის ამბავი, რაც ახლა იყო,"რესპუბლიკელთა" პარტიიდან შემოთავაზებული... აი, სწორედ ამ შემთხვევაში. საერთოდ, არ მიყვარს ცალსახა გაგება. არ ვფიქრობ, რომ უნდა გადაბრალდეს ვიღაცას... ეს არის მთელი პროცესი და ამ პროცესის გათვალისწინებით უნდა ყველამ დავუშვათ... რაღაც ახალი წინადადებები თუ გვინდა, გადახალისებაა, თუ კაბინეტის შეცვლაა, თუ რაღაცა.... ამ თვალსაზრისით. აი, ეს ჩვენი დემოკრატიული პროცესი რომ მიმდინარეობს, ასე უნდა წავიდეს და კრილოვის "ბასნიას" ნუ დავემსგავსებით, რომ... как ни садитесь, а в музыканты не годитесь ...

გადავიყვანოთ, გადმოვიყვანოთ, ეგრე არ არის საქმე. მე ვფიქრობ, რომ უშიშროების საბჭო აღარ არის საჭირო. ჩემი აზრი ასეთია და ბატონმა ედუარდმა წელან თქვა და ჩემი აზრიც არის, რომ ეს უშიშროების საბჭო აღარ არის საჭირო, იმიტომ, რომ არის პარლამენტი, არის სახელმწიფოს მეთაური და ამ კონტაქტში... ნუ, მართალია, ომია, მაგრამ სახელმწიფოს მეთაური ამავე დროს მთავარსარდალია და შეუძლია თავისი აპარატის საშუალებით და მინისტრთა კაბინეტის საშუალებით უხელმძღვანელოს ქვეყანას. გმადლობთ.

თავმჯდომარე. მეხუთე, მესამე, მეექვსე მიკროფონები.

პ.კოლუაშვილი. ბატონო თავმჯდომარევ, ბატონო სპიკერო,პატივცემულო დეპუტატებო, მინდა შევახსენო რიგ გამომსვლელებს, რომ პარლამენტს კაბინეტური პრინციპით, როგორც ასეთი წესით, მინისტრთა კაბინეტი არ აურჩევია. ამდენად, მინდა შეგახსენოთ, აქ იყო მხოლოდ წინააღმდეგ გამოსვლები პრემიერ-მინისტრის თაობაზე და პრემიერ-მინისტრის კანდიდატურასთან დაკავშირებით. ხოლო, როგორც გახსოვთ, დანარჩენი მინისტრები,რომლებიც არჩეულ იქნენ, არჩეულ იქნენ თითქმის ერთხმად. დღეს, როდესაც მათ კვალიფიკაციაზე . თუ არაკვალიფიკაციაზე შედეგებს ვიმკით, მინდა განვაცხადო, რომ პრემიერ-მინისტრის გარდა, ყველაზე თითქმის პარლამენტის ერთსულოვანი თანხმობა იყო.

თავმჯდომარე. მეორე, მესამე მიკროფონები. ყურადღება იყოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არაფერი ისე ცუდი არ არის, როგორც თვითციტირება წარსულიდან ამისთანა საკითხებზე. დავიწყოთ ეს და ვიფიქროთ, ქვეყანა კრიზისიდან როგორ გამოვიყვანოთ.

ზ.ნოღაიდელი. დაახლოებით იგივეს თქმა მინდა, რაც ბატონმა ვახტანგმა თქვა. "რესპუბლიკელების" მიერ დასმული საკითხი არის მეტად სერიოზული და ამ დროს იმის გარჩევა, ვინ როდის ვის უჭერდა მხარს და თუ როგორ იქცეოდა კენჭისყრის დროს, და პასუხისმგებლობის მოცილება, მგონი არ ივარგებს. ნებისმიერი მინისტრის დანიშვნის წინ მიდიოდა კონსულტაციები სახელმწიფოს მეთაურთან და გარკვეული კომპრომისებით და დათმობით, და მე, მაგალითად ყველა მინისტრზე, მინისტრთა კაბინეტის ყველა წევრზე ვაგებ პასუხს და არ მინდა ჩემი წილი პასუხისმგებლობა თავიდან მოვიხსნა. ყველანი ვართ ამაზე პასუხისმგებელი.

ჩვენ უნდა მოვიფიქროთ, თუ როგორ მოვიქცეთ ამ კრიზისულ სიტუაციაში, რომელიც დღეს შეიქმნა.

თავმჯდომარე. მესამე მიკროფონი.

დ.ბერძენიშვილი. მინდა შევახსენო პარლამენტს, უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა მინდა ჩვენი ფრაქციის სახელით გადავუხადო ყველას, ვინც აზრი გამოთქვა ამ განცხადებასთან დაკავშირებით, როგორც ჩვენ, ისე სხვა ფრაქციები, ვცდილობთ დიდი პასუხისმგებლობით მოვეკიდოთ სიტუაციას, რა მდგომარეობაშიც ვართ. ჩვენი განცხადება არ ისახავს მიზნად, ხელისუფლების რომელიმე ერთ ორგანოს გადავაბრალოთ რაიმე რომელიმე სხვა ორგანოს სასარგებლოდ. არ მინდა იმის გახსენება, ვინ მისცა ხმა სიგუას და ვინ მისცა ხმა ავთო მარგიანს, თუ რომელიმე სხვა წარმომადგენელს ხელისუფლებისას. ამიტომ, მინდა ვითხოვო, ზოგიერთ საკითხს ნუ დავაწურიღმანებთ. როგორც მთავრობის, ისე უშიშროების და თავდაცვის საბჭოს და ისე პარლამენტის მიმართ გამოთქმული გვაქვს ჩვენი პრეტენზიები და ეს განცხადება, და ეს მსჯელობა შეიძლება აღმოჩნდეს საფუძველი იმისა, რომ დღევანდელ კრიზისულ სიტუაციაში მოვძებნოთ ოპტიმალური ფორმა ქვეყნის სახელისუფლო სტრუქტურების დაწყობისა. როდესაც ვამბობთ, რომ სახელმწიფოს მეთაურმა თავად და უშუალოდ უხელმძღვანელოს საქართველოს მინისტრთა კაბინეტს, აქ გასაგებია, რომ ვგულისმხობთ, უშიშროების საბჭოს, და მთავრობის ფუნქციებიც, მთელი აღმასრულებელი ხელისუფლება უშუალოდ უნდა იყოს მართვადი და კონსტრუირებადი სახელმწიფოს მეთაურის მიერ და ის 6 თვე, რომელიც პარლამენტისთვის გვინდა შემოგთავაზოთ, გარკვეულად შემოზღუდვა საკანონმდებლო საქმიანობით და კონსტიტუციასთან დაკავშირებული საქმიანობით, ესეც ხელს შეუწყობს ქვეყანაში ნორმალური სახელისუფლო ურთიერთობების განაწილებას საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის.

დღეს ძალიან ნუ გავაღრმავებთ... დავიწყოთ ფიქრი და კონსტრუქტაციები, რა საშუალებები გვაქვს, რომ უახლოეს სხდომებზე ყველა დაინტერესებული თანამდებობის პირის, როგორც სამოქალაქო, ისე სამხედრო პირის თანდასწრე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით და მონაწილეობით მივიღოთ გადაწყვეტილება ჩვენი სახელისუფლო სტრუქ-ტურების განაწილებისა...გმადლობთ.

თავმჯდომარე. მეორე მიკროფონი. შემდეგ მინდა ვთხოვო სახელმწიფოს მეთაურს.

ო.მელქაძე. ძალიან სერიოზული განცხადება გაკეთდა. ამ განცხადების სერიოზულობა მოითხოვს სერიოზულ განსჯას. შემოთავაზებულია წინადადება- გადადგეს მთავრობა, ე.ი., უარი ვთქვათ საბჭოზე, მე არ ვიცი, ვისდა დავუტოვებთ ამ პერიოდში რესპუბლიკას და ვინ უნდა მართოს. მაქვს ერთი კონკრეტული წინადადება. ვატყობ, რომ იწყება ახალი პერიოდი ფერისცვალებისა. იმისათვის, რომ ობიექტური ვიყოთ შემდგომი განსჯის დროს, შემომაქვს წინადადება..... ის პერიოდი, როდესაც ჩვენ მთავრობას ვაყალიბებდით, ალბათ, ტელევიზიას ექნება ჩანაწერები გამოსვლებისა და დღეს ასე სერიოზულად გაკეთებული განცხადება დაგვიანებული დასკვნების შედეგი რომ არის, იქნებ, გვენახა ის გადაცემები და ოტა ობიექტურობა დაგვეცვა მსჯელობის დროს მაინც. გმადლობთ.

თავმჯდომარე. ბატონო ვახტანგ, და....

ვ.რჩეულიშვილი. რასაკვირველია, გასაგებია ყველასათვის ის შეშფოთება დღევანდელი მძიმე სიტუაციით, რაც ბევრი ჩემი კოლეგის გამოსვლაში აღინიშნა. რაც შეეხება ჩვენი კოლეგების მიერ შემოთავაზებულ ზომებს, მე მაინც ვიტყოდი, რომ მათ გამორჩათ ერთი ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი. ჩვენ რომ ვიყოთ დაღაგებული ქვეყანა, კრიზისში, მაგრამ დაღაგებული, ვთქვათ, როგორც პოლონეთია, და მთავრობას მოვთხოვოთ პასუხი, რატომ ვერ გამოგვიყვანე ეკონომიკური კრიზისიდან, მაშინ მოგვეთხოვა მთავრობის გადადგომა, ეს ერთია, მაგრამ ჩვენ ვართ ომის სიტუაციაში და პირველი ჩვენი უბედურება არის ომი და არა ეკონომიკურ საკითხებში ვისიმე კომპეტენტურობა და არაკომპეტენტურობა. ამიტომ, სანამ არ გადაწყდება გლობალურად ომისა და მშვიდობის პრობლემა... მე მგონი, ქვაკუთხედი ჩვენი უბედურებისა არის ეს. ამაში ვერ დავადანაშაულებთ, ვთქვათ, მინისტრთა კაბინეტს. ამიტომაც უნდა განვიხილოთ, როგორ გამოვიდეთ იმ უბედურებიდან, იმ ომიდან და პოლიტიკური აშლილობიდან, რაც საქართველოს წინაშე დგას, მოვითხოვოთ მთავრობას ანგარიში, ეს მესმის, მაგრამ მთელი ამ უბედური სიტუაციისათვის მათზე პასუხისმგებლობის დაკისრებაში ვერ დაგეთანხმებით. პირველი ჩვენი უბედურება არის ომი, რომელსაც დღეს საქართველო აწარმოებს.

თავმჯდომარე. მეხუთე მიკროფონი. ყველას საყურადღებოდ ვამბობ, შემდეგ სახელმწიფოს მეთაურს ვუსმენთ.

ა.იოსელიანი. ბატონო ვახტანგ, მინდა შეგახსენოთ, რომ ომი დიდი უბედურებაა, მაგრამ გააჩნია, მთავრობა რა გადაწყვეტილებებს მიიღებს და რა პროგრამას დაადგება. თუნდაც კრიტერიუმი გვქონდეს ამ მთავრობის სრულფასოვნების შეფასებისა. დღევანდელ პირობებში, როცა ვამბობთ, რა უნდა გაკეთებულიყო. პროგრამა არ არის ცხადი სახით. მიმართულება, ტენ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლენციაც არ არის დასახული. ამიტომ ამ ბოლო გამოსვლას მე ვერ დავეთანხმები.

თავმჯდომარე. ბატონ ედუარდს ვთხოვთ.

ე.შევარდნაძე. მე არ ვიცი, წინადადების ავტორი ან სხვა ვინმე არის თუ არა მზად იმისათვის, რომ ამ კითხვას პასუხი გასცეს დღეს.ალბათ, "რესპუბლიკელები" მზად არიან, რადგან გამოიტანეს ეს საკითხი,იციან გამოსავალი სად არის. მე არა ვარ მზად. საქმე უფრო სერიოზულად არის,ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს, რომ აი, დღეს ცუდი მთავრობაა, ეს მთავრობა გავუშვათ, ხვალ მოვა კარგი მთავრობა და ყველაფერი კარგად იქნება.ასე შეიძლება პარლამენტზეც ვილაპარაკოთ. თუ ვინმეს პასუხისმგებლობა ეკისრება პარლამენტთან ერთად მუშაობაზე, მეც მეკისრება.ამიტომ, ცოტა თვითკრიტიკულადაც მინდა ვილაპარაკო. არა მგონია, რომ პარლამენტი იდეალურად მუშაობს. საზოგადოებას რომ ვკითხოთ, როგორია წარმოდგენა პარლამენტზე, მე მგონი, აქტიურ ქულებს ვერ ჩავიწერთ, ისე, როგორც მთავრობა, ისე, როგორც სახელმწიფოს მეთაური. რაშია საქმე, ყველანი უვარგისები ვართ? თუ ცოტა უფრო ლრმა მიზეზებია? ალბათ, "რესპუბლიკელებმა" გააკეთეს ყველაფრის ანალიზი და უფრო ნათლად წარმოიდგინეს და უფრო იოლად ხედავენ გამოსავალს, ვიდრე ჩვენ. არ შემიძლია არ განვაცხადო, რომ ვერც ერთი ჩვენთაგანი,ვერც ერთი ორგანო, ვერც საკანონმდებლო, ვერც აღმასრულებელი ვერ განაცხადებს,რომ ის თავის სიმაღლეზეა. ჩვენ ყველანი რაღაცას ვსწავლობთ. [illegible], რომლებსაც მომავალს უწინასწარმეტყველებთ და რომლის სრულყოფაზეც ბევრად იქნება საქართველოს ბედი დამოკიდებული, დღეს რომ ვკითხოთ, რას აკეთებს პარლამენტი იმისათვის, რომ ბიზნესი განვითარდეს საქართველოში, იმდენ ბრალდებებს წამოგვიყენებენ, იმდენ პრეტენზიებს წამოგვიყენებენ,რომ მეორე დღეს შეიძლება აქ შემოსვლის შეგვრცხვეს. თქვენ რომ უცხოელ ბიზნესმენებს კითხოთ, გარდა იმისა, რომ არასტაბიულრობაა, რა უშლის ხელს,გეტყვიან, რომ თქვენ არ გაქვთ ის კანონები, რომლებიც იზიდავს უცხოურ ბიზნესს. ვისი ბრალია ეს? ჩვენ რა, შემთხვევითი ხალხი მოვედით? არა, შემთხვევითი ხალხი არ მოვედით, მაგრამ საკმაო ცოდნა და საკმაო გამოცდილება ჩვენ არა გვაქვს. ამიტომ იმ ტემპებში. და იმ დინამიზმით ჩვენ ვერ ვქმნით იმ კანონებს, რომლებიც ამ დარბეულ ქვეყანას სჭირდება. და ეს დაძაბული ქვეყანა ვერ გამოვა მდგომარეობიდან, გარდა საკუთარი რესურსების მობილიზაციისა, თუ ვერ შეძლებს უცხოური ბიზნესის მოზიდვას, თუ ვერ დააინტერესებს მას. ვერ შევძელით ამ სამუშაოს შესრულება, პრივატიზაცია რამდენი ხანია დაიწყო საქართველოში და ღამის მთავრდება... ფაქტიური პრივატიზაცია და კანონი საკუთრების შესახებ ახლა დგას დღის წესრიგში.დარწმუნებული ვარ, ის არც ერთი წაკითხვით იქნება მიღებული და არც მეორე წაკითხვით. ეს ურთულესი კანონია, უძნელესი კანონია. ამას წინათ მქონდა ძალიან სერიოზულ ხალხთან შეხვედრა და მითხრეს, მირჩიეს, რომ აიღეთ რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობა, დაკავშირებული ინვესტიციებთან, საკუთრებასთან,

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მთელი კომპლექსი კანონების, და გადმოიწერეთ ან პოლონური, ან ჩეხური. იმიტომ, რომ სანამ თქვენ შექმნით ამას, მანამდე უკვე თქვენი პარლამენტის ვადაც ამოიწურება. ეს იმიტომ ხდება, რომ ჩვენ არა ვართ მზად იმისათვის, რომ ვმართოთ ეს ქვეყანა და ეს სახელმწიფო. მოდით, ნუ დავიწყებთ, რომ არა ვართ ჩვენ დღეს სახელმწიფო, ჩემთვის ძნელია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ ეს ასეა. რის დანგრევაც შეიძლებოდა ის დაინგრა და აშენებლად დრო საკმარისი არ არის, და არც ის ვიცით კარგად, როგორ ავაშენოთ. გუშინ რომ კანონი მივიღეთ, იგივე კანონი დღეს უკვე შესწორებებს ითხოვს და საფუძვლიან გადაკეთებას ითხოვს, რომ შეიძლებოდეს, ხვალ ისეთი მთავრობა ავირჩიოთ, რომელიც ოდნავ უკეთესად იმუშავებს, დღესვე მივცემ ხმას ასეთ გადაწყვეტილებას. ის, რაც გააკეთა ხელისუფლებამ, მთავრობამ, ისიც კი არ არის კარგად წაკითხული. მართალია, კომპლექსური პროგრამა არ არსებობს, მაგრამ იმავე რეფორმების შტაბმა... ღამის ორ ნომერში იბეჭდებოდა რეფორმების პროგრამა, მე არავის არ ვაყენებ შეურაცხყოფას, მაგრამ ამ დარბაზში 10 პროცენტი თუ იქნება, ვინც წაიკითხა ის პროგრამა თავიდან ბოლომდე. თვალებში რომ შევხედო ბევრ თქვენგანს, ამოვიკითხავ, რომ წაკითხული არ გვაქვს. მე გამიჭირდა, რამდენიმე ღამე [illegible] [illegible] [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ არ შემოიტანეს, იმიტომ, რომ არ არის ბიუჯეტი, ფინანსები არ არის, შემოსავლები არ არის. შემოსავალი გასავალს I5 პროცენტით თუ ფარავს. ასეთ მდგომარეობაშია ეს ქვეყანა. მე არ ვამბობ, რომ იდეალური პრემიერ-მინისტრი გვყავს, უამრავი ნაკლი აქვს, უამრავი ნაკლი აქვს სახელმწიფოს და პარლამენტის თავმჯდომარეს, უამრავი, და შეიძლება ათჯერ მოსწონა დღეში და გაადაყენო. ასევე შეიძლება თითოეული მინისტრის მიმართ ილაპარაკო. ფინანსთა სამინისტრო, ეროვნული ბანკი და ა.შ., რომელიც გნებავთ ინსტიტუტი, მაგრამ მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ დავითხოვეთ ხვალ ეს ხალხი, რა შეიცვლება ზეგ, თუნდაც გენიოსები წამოცვივდნენ ზეციდან. ქვეყანა ისეთ მდგომარეობაშია, უკვე მაქვს ამის უფლება, განვაცხადო, უფსკრულის პირას, კატასტროფის პირას ვართ. ან გადავიჩეხებით, ან რაღაც სასწაულით გადავრჩებით. არ ვიცი, მოიძებნება თუ არა ისეთი ჯგუფი პიროვნებებისა, აი, გუნდი, იქნება ეს გუნდი, რომლიც გამოიყვანს ამ ქვეყანას? არ დაგიმალავთ, სამი თვეა ვცოდვილობ, მინდა წარმოვადგინო ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის პროგრამა. აპარატში მოვიყვანთ მრჩეველები, ეკონომისტებიც არიან, ფინანსისტებიც, ფიზიკოსებიც, ფსიქოლოგებიც, I5-20 კაცი, მოაზროვნე ხალხი, სერიოზული, მათთან ერთად ვზივარ და ვიჭყლეტ ტვინს და ვერაფერი ვერ მოვიგონეთ ისეთი, რომ შემოგთავაზოთ რეალური პროგრამა კრიზისიდან გამოსვლისა. ახლა გნებავთ, მინისტრთა კაბინეტი ჩამაბარეთ, გნებავთ, კიდევ რაღაც ახალი, იმის მეტის, რასაც ახლა ვაკეთებ, ჯერჯერობით, იმაზე მეტის გაკეთება მე არ შემიძლია. ამერიკული მარცვალი როცა გათავდება,... კიდევ ცოტა რაღაცა ვიშოვეთ, 2 თვეში, თქვე-ნახევარში გათავდება. მე ვერ გეტყვით, სხვა რა წყარო არსებობს. 2 თვე-ნახევრის შემდეგ

რა გვეშველება ჩვენ, ამას მთავრობის თავმჯდომარის შეცვლა უშველის? ან სახელმწიფოს მეთაურის შეცვლა უშველის? წავედით უკრაინაში და მთელი დღე-ნახევარი დავკარგეთ... არ შეიძლებოდა წასვლა. ვცილობთ გავაბათ ის კავშირები, რომ როგორმე, როცა გათავდება ეს ჩვენი მარაგი, იქნება ამ ახალმა კავშირებმა რაღაცა გვიშველოს. ყაზახეთთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, ყველაფერი არ შეიძლება გამოიტანო და ყველაფერზე იმსჯელო. ზის ხალხი და ამზადებს ხელშეკრულებებს. შეიძლება, ყაზახეთიდან მივიღოთ 200 000- 300 000 ტონა. იქნებ, გაგეცინოთ, კიდევ ჩინეთში ვაპირებ წასვლას, იმიტომ, რომ გაჩნდა რაღაც საშუალება, მინერალური სასუქები აინტერესებთ. იქნებ სასუქები გავცვალოთ მარცვალზე და ბრიჯნზე. ზოგიერთ სხვა ქვეყანასთან... თურქეთში, შეიძლება აუცილებელი არ იყო, რომ წავსულიყავი, მაგრამ იქაც ამ საუბრების გაგრძელებაა, იქაც რაღაც გარანტიები მივიღე. იქნებ, როგორმე შიმშილი ავიცილოთ თავიდან და პარალელურად ეს ეფემენტარული საკითხები მოვაგვარო, რასაც თანდათანობით ახალ რელსებზე გადასვლა ჰქვია ეკონომიკისა და, საერთოდ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრებისა. თუკი შესაძლებელი იქნება, მოდით, ერთად ვიფიქროთ. დარწ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუნებული ვარ, "რესპუბლიკელებმა" რომ შემოგვთავაზეს ეს გაბედული გეგმა, მთავრობის გადახალისების და ა.შ., მათ, აღბათ, მხედველობაში კონკრეტული ადამიანები ჰყავთ. მე არ ვიცი, ვის უნდა დაევალოს, ვთქვათ, იკისრებს კი სახელმწიფოს მეთაური, კვლავ ახალი კაბინეტი დააკომპლექტოს. მე ამისთვის მზად არა ვარ, მაშინ ცოტა სხვანაირად უნდა შევხედოთ ამ საქმეს. ახალი სახელმწიფოს მეთაური, ახალი კაბინეტი, სერიოზული საკითხებია ეს, სერიოზული. თუ ვინმე ფიქრობს, რომ მოვა ახალი კაბინეტი და სამ თვეში სულ ახალაცა იქნება, არ იქნება ეს ასე, თავს ნუ მივიტყუებთ. ვიმეორებ, არ არიან იდეალური არც მინისტრები, არც პრემიერი და არც სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ ვიფიქრეთ კი იმაზე, რომ აი, წინადადება შემოგვაქვს, რომ რაღაც ახალი მთავრობა შეიქმნას, რა არის ეს ახალი მთავრობა, რას წარმოადგენს. თუ გვყავს პარლამენტში ხალხი, თუ გვყავს პარლამენტის გარეთ ხალხი, მე პირველი ვიქნები, ვინც ამას ხმას მისცემს, ამ გადაწყვეტილებას. ეს ერთი. მეორე, ბატონ გია ხავთასს მინდა ვუპასუხო, აი, რატომ დავუშვით შეცდომები საკადრო პოლიტიკაში, რომ კარგი საკადრო პოლიტიკა ყოფილიყო, ჩვენ კარგად ვიქნებოდით - დაახლოებით ასეთი შინაარსისაა. მე ეს ძალიან მაგონებს... ამ ლოზუნგს "კადრები წყვეტენ ყველაფერს". შევეზარდე ბავშვობიდან. იყო ეს ლოზუნგი და ასე იყო მთელი ჩვენი მუშაობა აწყოფილი, აი, არის კარგი მუშაკი, ის კარგად აკეთებს საქმეს. ჩემო ძმაო, აღარ არის ახლა ეს ამბავი, გენიოსი რომ ჩამოიყვანოთ და დავსვათ იმ სამინისტროში, ეკონომიკის სამინისტრო იქნება თუ ფინანსთა, ვერაფერს გააკეთებს, აღქიმიაც ვერ უშველის. უმძიმესი მემკვიდრეობაა. რომელ შეცდომაზეა ლაპარაკი. სიგუას დანიშვნა პრემიერ-მინისტრად შეცდომაა? მაშინ თქვით ასე, რომ ბატონი სიგუა არ უნდა იყოს პრემიერ-მინისტრი. (ხმაური დარბაზში). მე არ ვიცი, მე ვიცი, რომ თქვენ ყოველთვის მართალი ხართ... ყველა საკითხი, აი, ყველა თქვენი წარმომადგენლის გამოსვლა: "ჩვენ ხომ ვთქვით, გასხვოთ... აი, ჩვენ ვთქვით ასე, თქვენ ეს ასე არ გააკეთეთ, აი ამიტომაც ამ უბედურებაში აღმოვჩნდით". მე ვიცი, მაგრამ ყველა ხომ ვერ აღწევს ამ ჭეშმარიტებას. ეს ერთეულების ხვედრია. რომელი მინისტრი არ ვარგა? რომელი მინისტრია შეცდომა? უშიშროების სამსახური? შეცდომაა, ირაკლი ბათიაშვილი ამ სამსახურის უფროსად რომ დავნიშნეთ? მე მიმაჩნია, რომ არ არის შეცდომა. ეკონომიკის მინისტრად დავნიშნეთ შედარებით გამოუცდელი კაცი, კაცი, რომელსაც განათლება აქვს, დონე აქვს, თანამედროვე დონეზე აზროვნებს, შეცდომაა ეს? არ არის შეცდომა, ფინანსთა მინისტრად დავნიშნეთ ახალგაზრდა, პროგრესული კაცი, სწავლობს, მუშაობს, შეცდომაა? კულტურის მინისტრად დავნიშნეთ შესანიშნავი, ნათელი პიროვნება, განათლებით, ერუდიციით, ყველაფრით. შეცდომაა? და ასე გავაგრძელოთ, ვერ ჩამოვთვლი ყველას. თავდაცვის მინისტრი არ დავნიშნეთ. იცით, რატომ არ დავნიშნეთ, იმიტომ, რომ რთული გადასაწყვეტია ეს საკითხი. არ ვიყავი დარწმუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებული, რომ მაშინ ბატონ თენგიზ კიტოვანს დაუჭერდა მხარს პარლამენტის ის რაოდენობა, რაც საჭირო იყო დასამტკიცებლად. არ ვიყავი დარწმუნებული, დღეს ვერ გეტყვით, ხვალ რომ დავაყენოთ... ჩამოვა... ამორალობად მიმაჩნია მის გარეშე მის შესახებ ვილაპარაკოთ აქ. ჩამოვა და დავაყენოთ საკითხი, გადავწყვიტოთ კიდევ, ვისზეა ლაპარაკი. როცა ვლაპარაკობთ, რომ კადრების დარგშია ამდენი შეცდომები, თუ მინისტრებზეა ლაპარაკი, მაშინ ვილაპარაკოთ, ეს არ ვარგა, დავნიშნოთ სხვა. აქ როცა კაბინეტის დაკომპლექტების საკითხი გადაწყდა, მაშინ არც უმრავლესობაზე და არც მუცირესობაზე იყო ლაპარაკი. არ იყო მაშინ ეს ამბავი. ბატონი ნოდარი მართლაღია, უფრო მეტად, ალბათ, შავგვრემანებზე და თეთრგვრემანებზე თუ იყო ლაპარაკი. თითქმის ყველა, გარდა ჩემი გამონაკლისისა, ყველა, ასე თუ ისე, პოლიტიკური ძალა, მათ შორის მთავრობაში და მინისტრთა კაბინეტში...მე თანახმა ვარ, რომ დავიწყოთ დისკუსია ამ საკითხებზე,მაგრამ დაიწყოს ღია დისკუსია. დახურული სხდომა შეიძლება ჩავატაროთ ზოგჯერ სამხედრო საკითხებთან დაკავშირებით. რაც შეეხება მთავრობას, მთავრობის სტრუქტურები, კადრების საკითხები, ყველაფერი იყოს საჯაროდ და სახალხოდ. თავიდან მე წინააღმდეგი ვიყავი ამ გადაცემების, მაგრამ რადგან დავიწყეთ, ახლა ასე იყოს. დე, ხალხმა, მოსახლეობამ იცოდეს, რის გაკეთება შეიძლება, რისი არ შეიძლება. რა არის რეალური წინადადება, ნაკარნახევი რეალური ცხოვრებით, და რა არ არის რეალური ცხოვრებით ნაკარნახევი,რა მოგცემს შედეგს და რა არ მოგვცემს. დააკვირდით იმ ქვეყნებს, ჩვენთან ერთად რომ მიიღეს დამოუკიდებლობა, რომელ ქვეყანაში მოხდა სასწაული?მთელი მსოფლიო რუსეთს ეხმარება, ახლა 42 მილიარდ დოლარს აძლევენ.რამდენი მიიღო და რამდენი ქვიშაში წავიდა, ღმერთმა იცის კიდევ, სათვალავი არა აქვს. აეწყო საქმე რუსეთში? ძნელია, ძალიან ძნელია, ასე სწრაფად დამოუკიდებელი ქვეყნის აშენება. ურთულესი პროცესია, ნეტა მართლა ისე იყოს საქმე, რომ ამ მთავრობის შეცვლა შველოდეს საქმეს. ამიტომ მე მხარს ვუჭერ, დისკუსია დაიწყოს ამაზე, მაგრამ, მოდით, სანამ დავიწყებთ,ალბათ, გარკვეული დროა საჭირო, ორი დღე, სამი დღეს, ყველამ უნდა მოიფიქროს და ყველამ პასუხი აგოს თავის სიტყვაზე და თავის წინადადებაზე ხალხისა და ქვეყნის წინაშე. მხოლოდ ერთი რამის მეშინია, რომ ახლა, ავად თუ კარგად, რაღაც სისტემა მუშაობს, ეს დანიშნული ხალხი ფორმაში შედის,ახლა ისევ ახალი ტალღა თუ წამოვიდა რეორგანიზაციის, ჩვენ, შეიძლება,მართლა უძნელეს მდგომარეობაში აღმოვჩნდეთ.

ახლა სტრუქტურების შესახებ. მოვა დრო, ეს სტრუქტურა იქნება არქაული, დრომოჭმული, მაგრამ დღეს ეს სტრუქტურა... სხვა გამოსავალი არ არის, დღეს ჯერ კიდევ არ არის ის პროცესები ეკონომიკაში,რომ ~~[illegible]~~ მოგვცემს საშუალებას, უარი ვთქვათ სამინისტროებზე და უწყებებზე. როგორც კი განვითარდება ეს პროცესები, გადავა საქართველოს ეკონომიკა საბაზრო პრინციპზე, მაშინ, ალბათ, 3-4 სამინისტრო იქნება საკმარისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

(ხმაური დარბაზში). მე თანახმა ვარ, ქალბატონ იზას ჩავაბაროთ რომელიც გნებავთ სამინიტრო. ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ სტრუქტურებზე, კადრებზე, და ასე შემდეგ, მოდით, კარგად ჩავიხედოთ საქმეში.

და კიდევ მინდა გთხოვოთ, რომ მე ჯერ ვერ მოვისმინე პარლამენტში სიტყვა იმის შესახებ, აი, გოცირიძის პროგრამა რომ იყო, რეფორმების, ეს პროგრამა ვარგა თუ არ ვარგა. აი, რა არის სადისკუსიო საკითხი. თუ ეს პროგრამა მიუღებელია, მაშინ რომან გოცირიძე უნდა გადადგეს, მაგრამ, მე მგონი, იქ ბევრი რამ არის ისეთი, რაც ყურადღებას იმსახურებს. იქიდან კი არ უნდა დავიწყოთ ლაპარაკი, რომ გოცირიძე გადავაყენოთ, მერე ახალი კაცი მოვა, ის პროგრამას დაამუშავებს, რა პროგრამაც გოცირიძემ დაამუშავა, თუ ის პროგრამა არ ვარგა, არ არგია ამ ქვეყანას, მაშინ უნდა დავაყენოთ საკითხი მისი ნდობის თუ უნდობლობის შესახებ. ალბათ, ასე უნდა იყოს. სხვა კუთხიდან ვუდგებით საკითხს, დაიწყოს ეს დისკუსია. მხოლოდ დაიწყოს სერიოზული და ღია, სრულიად ღია დისკუსია საქართველოს მოსახლეობის მონაწილეობით.

<u>თავმჯდომარე</u>. ხუთ საათზე გელოდებით ოპერის თეატრში მწვანეთა დიდ აქციაზე. შემდეგი სხდომა სამშაბათს იქნება, კოლეგია-ორშაბათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ საქმეში დასტამპულია
В этом деле прошнуровано ფურცელი листов
ოცდაერთი (51)
დირექტორი Директор 19 X 1983 წ.

n 360/1102

W 126